რუსულ სისტემებთან დაკავშირებული მაღალტექნოლოგიური კონვენციური შეიარაღების უკანონო ტრანზაქციების პრევენცია:

ოპერაციული სახელმძღვანელო

2023

Government of the United States

GCSD

რუსულ სისტემებთან დაკავშირებული მაღალტექნოლოგიური კონვენციური შეიარაღების უკანონო ტრანზაქციების პრევენცია: ოპერაციული სახელმძღვანელო

ავტორები:
ბეთანი ბენქსი და აკაკი საღირაშვილი

კონტრიბუტორები:
გიორგი გოგუაძე, თამარ ნადიბაიძე, ნიკოლოზ ყიფშიძე

სახელმძღვანელოს შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საფრთხის თანამშრომლობითი შემცირების სამსახურის (CTR) მხარდაჭერის საშუალებით.

ავტორები მადლობას უხდიან „პროკრედიტ-ბანკს“, „ლიბერთი-ბანკს“, „ფაშა-ბანკის“ საქართველოს წარმომადგენლობას, „გეორგიენ სპედიშენს“ (Georgien Spedition), „იზი-ჩარტერსა“ (Easy Charter) და შპს სანტა-ტრანსს (Santa Trans Ltd) რომლებიც დაგვეხმარნენ ქართულ კომპანიებს შორის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შერჩევის პროცესში. ავტორები, ასევე, მადლობას უხდიან დოქტორ ირინა ბოგდანოვასა და დოქტორ დენიელ სალისბერის სახელმძღვანელოს შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრს (GCSD) და შესაძლოა არ გამოხატავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებს.

ავტორთა შესახებ

ბეთანი ბენქსს აქვს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება, სადაც იგი იყო მრჩეველი თავდაცვისა და პოლიტიკურ-სამხედრო პოლიტიკის კრიტიკულ საკითხებზე და ხელმძღვანელობდა მრავალმხრივ ჩართულობას მაღალტექნოლოგიური კონვენციური შეიარაღების საფრთხეების შესახებ. მას ასევე აქვს ბიზნესის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სიღრმისეული გამოცდილება. ბეთანის დამთავრებული აქვს კანზასის უნივერსიტეტის რუსულ, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული კვლევების სამა-გისტრო პროგრამა, და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.

აკაკი საღირაშვილი საქართველოს იუსტიციისა, და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილეა, 15 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილებით. მას აქვს სიღრმისეული ცოდნა და გამოცდილება საჯარო პოლიტიკასა და მარეგულირებელ ჩარჩოებში, ასევე საერთაშორისო დონორების გაიდლაინების შესაბამის შესყიდვებში. აკაკი არის საქართველოს ბიზნეს ასოციაციის დირექტორის მოადგილე და ექსპერტი როგორც, საქართველოს კერძო სექტორში, ასევე ქვეყანაში მოქმედ ლოგისტიკისა და ენერგეტიკული ქსელებში.

შინაარსი

I. მიმოხილვა ... 01

II. სანქციები და მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღი ... 03

1. ამჟამად მოქმედი სანქციები და მათთან დაკავშირებული ვალდებულებები ... 03

2. მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღი და მისი კომპონენტები ... 04

3. შესყიდვის ქსელები ... 07

4. იარაღის გაყიდვა ... 08

5. შესაბამისი სანქცირებული ორგანიზაციები და ინდივიდები ... 09

6. არარუსული რეგიონული ფირმები ... 12

7. საქართველოს კონტექსტში არსებულ საფრთხეები ... 13

8. შემთხვევების ანალიზი ... 15

9. საკვანძო მიგნებები ... 18

III. სანქციებზე ეფექტური და შესაბამისი რეაგირება ... 19

1. მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობის პროგრამები საქართველოში ... 19

2. მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღზე მორგებული რისკების შეფასება ... 21

3. რუსეთთან დაკავშირებული სანქციებისა და ექსპორტ-კონტროლის რეჟიმებთან შესაბამისობის საუკეთესო პრაქტიკა ... 22

4. მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული ყურადსაღები ტრანზაქციები ... 24

5. საკვანძო მიგნებები ... 26

IV. დანართი ა: დამატებითი რესურსები ... 28

V. დანართი ბ: ქცევასთან და ტრანზაქციებთან დაკავშირებული დამატებითი „წითელი დროშები“: ... 29

VI. დანართი გ: მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის შეფასების ნიმუში ... 31

მიმოხილვა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სანქციებს უფრო და უფრო ხშირად იყენებს სხვადასხვა ქვეყანა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია უსაფრთხოების გამოწვევების, არასახელმწიფო-ებრივი ჯგუფებისა თუ სახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ. დღესდღეობით, სანქციების რეჟიმებთან შეუთავსებლობა ერთ-ერთი უმთავრესი რისკია, რომლის წინაშეც აღმოჩნდა კერძო სექტორის ბევრი ორგანიზაცია, განსაკუთრებით, ფინანსური ინსტიტუტები, თავდაცვის კომპანიები, სატრანსპორტო და ტექნოლოგიის/ელექტრონიკის კომპანიები. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია სანქციები დაწესებულია მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებისთვის საჭირო მასალასთან (ფოკუსირებულია ჩრდილოეთ კორეასა და ირანზე), ასევე, ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე, 2022 წელს უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებულმა სანქციებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ მექანიზმის გამოყენების არეალი და შესაძლებელი გახდა მისი დაწესება ცალკეული სახელმწიფოს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის პროგრამის წინა-აღმდეგ. სანქციები ზღუდავს არამხოლოდ კონვენციური იარაღის სისტემების წარმოებისთვის საჭირო მასალების შეძენის, არამედ, ასევე, კონვენციური იარაღის გაყიდვა-ექსპორტის შესაძლებლობასაც.

ზემოხსენებული მოვლენების შედეგად, კერძო კომპანიებისთვის - განსაკუთრებით, რუსეთის მეზობელ და მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სახელმწიფოებში - კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემებთან დაკავშირებული სანქციების რეჟიმთან შესაბამისობამ. კომპანიამ უნდა შეძლოს, სწრაფად და ზუსტად გამოავლინოს არალეგალური ტრანზაქცია და მიიღოს შესაბამისი ზომები რისკის აღმოსაფხვრელად, რათა განაგრძოს დაუბრკოლებლად ოპერირება და აირიდოს არასახარ-ბიელო შედეგები. სანქციებთან შეუსაბამობის მძიმე შედეგების გათვალისწინებით, რაც მოიცავს აქტივების გაყინვას, ექსპორტის შეზღუდვას, ქონების კონფისკაციასა და სამოგზაურო ვიზის გაცემაზე უარს, კერძო სექტორმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა დიდი სიფხიზლე და წინდახედულობა უნდა გამოიჩინონ ხსენებულ რეჟიმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. სანქციები სამიზნეთა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს და ეხება არამხოლოდ ფინანსურ ინსტიტუტებსა და უშუალო მიმღებებს, არამედ პროფესიული მომსახურების მიმწოდებლებსა და ნებისმიერ სხვა მესამე მხარეს, რომელიც ფინანსურ ინსტიტუტსა და კლიენტებს შორის შუამავლის როლს ასრულებს. ბიზნესრისკების გარდა, გასათვალისწინებელია ეთიკური მხარე და რეპუტაციის საკითხი: სახელმწიფოების მიერ სანქციების არიდებას მძიმე, ხელშესახები შედეგები მოჰყვება - ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქცი-ების ნებსით თუ უნებლიეთ უგულებელყოფა უშუალოდ და მყისიერად მოქმედებს რუსეთის შესაძლებლობაზე, აწარმოოს ომი საქართველოს სამეზობლოში.

სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტებისა და სისტემებთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზზე, ასევე, სანქციების რეჟიმებზე, მათ შორის, „სანქციების საშუალებით ამერიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის“ აქტსა (Countering America's Adversaries Through Sanctions Act - CAATSA) და საერთაშორისო საზოგადოების (გაერთიანებული სამეფო, ევროკავშირი, ავსტრალია, იაპონია და სხვ.) მიერ შემუშავებულ სანქციების პაკეტებზე, რომელთა მიზანია, შეუზღუდონ რუსეთს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებისა და გავრცელებისთვის საჭირო

კომპონენტებსა და ტრანზაქციებზე წვდომა. მოცემული პროექტის მიზნებისთვის, მაღალტექ-ნოლოგიური კონვენციური იარაღის (ACW) სისტემებში მოიაზრება პორტატული საჰაერო თავდაცვის სისტემები (MANPADS), ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები (ATGM); ძირითადი შეიარაღების სისტემები და მძიმე სამხედრო აღჭურვილობა - ტანკები, ავიაცია და რაკეტები; სენსორები და ლაზერები; ასევე, ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალა.

სანქციები და მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღი

ამჟამად მოქმედი სანქციები და მათთან დაკავშირებული ვალდებულებები

ამჟამად ამოქმედებულია სანქციების და ექსპორტის კონტროლის რამდენიმე ორმხრივი და მრავალმხრივი რეჟიმი, რომლებიც კონკრეტულ ვალდებულებებს უწესებს კერძო სექტორის ფირმებს. ზოგიერთი, მაგალითად, ვასენაარის შეთანხმება (Wassenaar Arrangement), მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისაა და აღსრულების სუსტი საშუალებები აქვს (ან საერთოდ არ აქვს); თუმცა, დანარჩენები აღსრულების საკმაოდ მასშტაბური და მძლავრი მექანიზმით გამოირჩევა. შეიარაღების სისტემების წინააღმდეგ მანამდე დაწესებული სანქციების რეჟიმების უმეტესობა მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის საწარმოებლად საჭირო ნედლეულზე იყო ფოკუსირებული. მაგალითად, ასეთია გაეროს მკაცრი სანქციების პაკეტები, რომლებიც მიზნად ისახავდა იარაღის გავრცელების დაფინანსების შეზღუდვას ჩრდილოეთ კორეიდან ან, ბოლო დროს, ირანიდან. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და შემდეგ, 2022 წელს, უკრაინაში სრულმასშტაბიანმა შეჭრამ დრამატულად შეცვალა სანქციათა ლანდშაფტი, რადგან დაწესებული სანქციები შეეხო მაღალტექნოლოგიური კონვენციური შეიარაღების სისტემების წარმოების ხელშემწყობ ტრანზაქციებში ჩართულ ინდივიდებსა და კომპანიებს.

შეერთებული შტატები პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც სანქციები დაუწესა რუსეთს 2014 წელს ყირიმში შეჭრის საპასუხოდ. საზღვარგარეთული აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) მიერ ამოქმედებული შეზღუდვები მოიცავს სექტორულ სანქციებს, კრძალავს ყირიმთან დაკავშირებული საქონლის ექსპორტს/ იმპორტს და ტრანზაქციებს მითითებულ ინდივიდებთან. 2017 წელს ამოქმედდა **„ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის“ აქტი (CAATSA).** ამ აქტის 231-ე მუხლი, რომელსაც აღასრულებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიემართება რუსეთის დაზვერვისა და თავდაცვის სექტორთან ტრანზაქციებს და შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს იმოქმედოს ნებისმიერი პირისა თუ კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც ჩართულია რუსული მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებაში, გაყიდვასა თუ გავრცელებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა სანქციების რეჟიმებისგან განსხვავებით, CAATSA აშშ-ს საშუალებას აძლევს დააჯარიმოს ნებისმიერი კომპანია - მათ შორის, არაამერიკულიც - რომელიც არალეგალურ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან თანამშრომლობს. სანქცირებული რუსი ინდივიდების, კომპანიებისა და სხვა პირების სია 700-ზე მეტ ერთეულს მოიცავს და პერიოდულ განახლებას ექვემდებარება. სანქციები მიზნად ისახავს რუსეთის ეკონომიკის საერთო მოცულობის შეკვეცას და მისი გამძლეობის შესუსტებას, რითაც რუსეთს უზღუდავს ქვეყნის შიგნით იარაღის წარმოების შესაძლებლობას და ხელს უშლის ფედერაციაში მიმდინარე სამხედრო მოდერნიზაციას. ასევე, აკრძალვა განივრცობა ორმაგი (როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო) დანიშნულების მქონე ნივთებზე და მნიშვნელოვნად გაფართოებულია ექსპორტ-კონტროლის რეჟიმი, რომელიც მნიშვნელოვნად ასუსტებს რუსი საბოლოო მომხმარებლების უნარს, შეიძინონ ორმაგი დანიშნულების პროდუქტები თუ ტექნოლოგია. ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (Department of Commerce’s Bureau of Industry and Security (BIS)), რომელიც კონტროლირებულ პროდუქტზე ლიცენზირებას კურირებს, გამოსცა ახალი წესი, რომლის თანახმადაც მკვეთრად იზღუდება („აკრძალვის პოლიტიკის ფარგლებში“ გადაიხედება) კონკრეტული საქონელი, მათ შორის, მიკროელექტრონიკა, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები, სენსორები, სანავიგაციო და საზღვაო აღჭურვილობა, საავიაციო ელექტროაპარატურა და საფრენი აპარატების კომპონენტები.

2014 წლიდან მოყოლებული, **ევროკავშირი** მნიშვნელოვან პარალელურ სანქციებს უწესებს რუსეთს. 2022 დეკემბრისთვის, ევროკავშირმა დაამტკიცა სანქციების 9 პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ. სანქციების სამიზნეა რუსეთი მთლიანობაში, რაც, ცხადია, მოიცავს ნავთობის ექსპორტსაც. ასევე, გაწერილია სპეციფიკური ზომები, რომლებიც მიემართება რუსეთის მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის ინდუსტრიას. ევროკავშირის სანქციები აგებულია იმგვარად, რომ რუსეთს შეუსუსტოს ახალი იარაღის წარმოებისა თუ არსებულის შეკეთების უნარი და ხელი შეუშალოს მასალის ტრანსპორტირებაში. ეს სანქციები 400-ზე მეტ რუსულ ერთეულს მიემართება და ართმევს მათ წვდომას მგრძნობიარე ორმაგი დანიშნულების და უახლეს ტექნოლოგიურ ერთეულებზე.

ზოგიერთმა სხვა ქვეყანამაც, მათ შორის, **გაერთიანებულმა სამეფომ, იაპონიამ და ავსტრალიამ გაატარა** სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. ამ ორმხრივ რეჟიმებს არ აქვთ ისეთივე ექსტრატერიტორიული აღსრულების მექანიზმი, როგორც CAATSA-ს სანქციებს, მაგრამ მოიცავენ სპეციფიკურ პირობებს, რომლებიც უმიზნებს რუსეთის კონვენციური იარაღის პროგრამას. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სანქციები ხელს უშლის რუსეთის თავდაცვის სექტორის ორგანიზაციებს შეიძინონ კრიტიკული მნიშვნელობის ტექნოლოგია. იაპონური სანქციები ზღუდავს მითითებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (მათ შორის, თავდაცვის სექტორის წარმომადგენლებთან) ტრანზაქციებსა და კაპიტალის ტრანსფერს, ასევე, კონტროლირებული ნივთებისა და სხვა ორმაგი დანიშნულების საქონლის (მაგ., ნახევარგამტარები) ექსპორტს. ავსტრალიური სანქციები კრძალავს ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების გაყიდვას, რომელიც რუსულ არმიას ან შეიარაღებას უკავშირდება.

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღი და მისი კომპონენტები

რუსეთის წინააღმდეგ ამჟამად მოქმედი სანქციები მიზნად ისახავს, **რუსეთს შეუზღუდოს შეიარაღების** სისტემის კრიტიკული კომპონენტებისა და დანადგარების **შესყიდვის უნარი**, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოების შესაძლებლობასაც. თუმცა, რუსეთი და მის მოკავშირეები სარგებლობენ საკმაოდ კომპლექსური, **დახვეწილი ქსელით**, რომელიც სანქციების გვერდის ავლასა და თავდაცვის ინდუსტრიულ კომპლექსში წარმოების გაგრძელებისთვის საჭირო იარაღისა და კომპონენტების შეძენაში უწყობთ ხელს.

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემები მოიცავს მრავალი სხვადასხვა სახის იარაღის სისტემებს, მათ შორის, პორტატულ საჰაერო თავდაცვის სისტემებს (MANPADS) და ტანკსაწინააღმდეგო ზუსტი დამიზნების რაკეტებს (ATGM); ძირითადი შეიარაღების სისტემებსა და მძიმე სამხედრო აღჭურვილობას, როგორებიცაა ტანკები, თვითმფრინავები და რაკეტები; სენსორები, ლაზერები და ზუსტი დამიზნების იარაღი. ცხადია, გარკვეული ტიპის კომპანიებს შეიძლება მართლაც მოუწიოთ სრული ან ნაწილობრივი შეიარაღების სისტემებთან შეხება, თუმცა, ექსპორტთან, გაყიდვებთან და კომპონენტების ტრანსფერთან დაკავშირებული გამოწვევების ალბათობა ბევრად მაღალია.

აშშ-ის მიერ მიღებული ზომები, ასევე, უმიზნებს რუსეთის სამხედრო ტექნიკის საბოლოო მომხმარებლებს, რომლებიც ვაჭრობის დეპარტამენტმა (Department of Commerce) სანქცირებულ დაწესებულებათა ჩამონათვალში შეიყვანა და, ამით, ფაქტობრივად, შეუჩერა წვდომა ექსპორტის ადმინისტრაციის რეგულაციებში (EAR) მითითებულ თითქმის ყველა პროდუქტზე,

მათ შორის, გარკვეულ ელექტრონულ მოწყობილობებზე, სენსორებზე და სატელეკომუნიკაციო თუ კომპიუტერულ მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო მასალაზე (დეტალებზე). სანქციების შედეგად, რუსეთის თავდაცვის კომპანიებს, სავარაუდოდ, მოუწევთ სესხებზე მზარდ საპროცენტო განაკვეთსა და კომპონენტებისა თუ მასალების მზარდ ფასებთან გამკლავებაც.

შეიძლება დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ სანქციებს რეალური გავლენა ჰქონდეს იარაღის წარმოებაზე ამ სისტემების დამზადებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, ვიფიქროთ, რომ სანქციებმა უკვე იქონია გავლენა რუსეთის უნარზე, ეწარმოებინა ზოგიერთი საკვანძო სისტემა, როგორებიცაა ზუსტი დამიზნების იარაღი. მაგალითად, რუსული მედიის თანახმად, მომდევნო თაობის საჰაერო ადრეული შეტყობინებისა და კონტროლის (AEW&C) ხომალდის, „A-100 პრემიერის“ წარმოება, შეჩერდა, რადგან დროულად ვერ მოხერხდა ისეთი ელექტრონული კომპონენტების მიწოდება, როგორიცაა მიკროჩიპი.

ზოგიერთი კომპონენტი აშკარად სამხედრო დანიშნულებისაა, ამ კომპონენტის ტიპის ან ხარისხის (შემცველობის) გამო, თუმცა იარაღის სისტემების წარმოებისთვის გამოიყენება სხვა ბევრი დეტალი, რომლებსაც ორმაგი დანიშნულება აქვთ. შესაბამისად, ასეთი კომპონენტების შემთხვევაში რთულია დანაშაულებრივი განზრახვის ამოცნობა, რაც პრობლემას უქმნის იმ ფირმებს, რომლებიც ცდილობენ გამოავლინონ იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული უკანონო ტრანზაქციები.

ფართოდ რომ ითქვას, სამხედრო საბოლოო მომხმარებლების მიერ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღისთვის პოტენციურად გამოყენებადი კომპონენტების ტიპები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს დამატებით შესწავლას, შემდეგია:

კომპონენტის ტიპი	დანიშნულება
მიკროელექტრონიკა / მიკროჩიპები	საკომუნიკაციო აღჭურვილობა, უპილოტო საფრენი აპარატები, შორ მანძილზე მოქმედი მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალა
ნახევარგამტარები	თავდაცვასთან დაკავშირებული კომპონენტები (კომპიუტერები, სენსორები, სვიჩები (კომუტატორები), გამაძლიერებლები)
საკისრები	ტანკი, თვითმფრინავი, წყალქვეშა ნავი, სხვა სამხედრო-საბრძოლო სისტემები
ქუროები (ელექტრომაერთებლები), მომჭერები, ტრანსფორმატორები, გარსაცმები, ტრანზისტორები, იზოლატორები	საბაზისო კომპონენტები, რომლებიც კონვენციური იარაღის სისტემის ელექტრონულ ნაწილს ქმნიან
ძრავები, სატრანსპორტო საშუალების ნაწილები	ტანკები, ამფიბიები, თვითმფრინავები (საფრენი აპარატები)
შემადგენელი ნაწილები	თვითმფრინავის ფრთები

სავარაუდოდ რუსი ოფიციალური პირების მიერ შედგენილი პრიორიტეტული ობიექტების სიის მიხედვით, რუსეთი აქტიურად ეძებს სხვადასხვა ორმაგი დანიშნულების მქონე ელექტრონულ მოწყობილობას, რომლებსაც თავდაცვის ინდუსტრიაში გამოიყენებს. როგორც ჩანს, რუსეთი განსაკუთრებით ეძებს 25 მოწყობილობას, რომელთა უმეტესობა აშშ-ის ფირმების - Marvell-ის, Intel-ის, Holt-ის, ISSI-ის, Microchip-ის, Micron-ის, Broadcom-ისა და Texas Instruments-ის მიერ წარმოებული მიკროჩიპებია, ასევე, იაპონური კომპანია Renesas-ის და გერმანული Infineon-ის ჩიპები, ამერიკული Vicor-ის მიკროსქემები და ასევე ამერიკული AirBorn-ის ელექტრომაერთებლები.[1]

აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა, ასევე, გამოავლინა იმ პროდუქტთა სია, რომლებზეც ვრცელდება ექსპორტ-კონტროლის მოთხოვნები. არსებობს ჩამოთვლილი კომპონენტების რუსეთსა და ბელარუსში უკანონო ექსპორტისა და რეექსპორტის მაღალი რისკი, რადგან შესაძლებელია მათი გამოყენება რუსეთის სამხედრო და თავდაცვითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ჩამოთვლილთაგან თითოეული მოითხოვს მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს შესაბამის ნებართვას, რასაც, დიდი ალბათობით, ეს უკანასკნელი არ გასცემს. სიაში შეტანილი კომპონენტებია:

საქონელი	ექსპორტ-კონტროლის ფარგლებში მინიჭებული კლასიფიკაციის კოდი
თვითმფრინავის ნაწილები და აღჭურვილობა	ECCN 9A991
ანტენები	ECCN 7A994
სასუნთქი სისტემები	ECCN 8A992
კამერები	ECCN 6A993
GPS-სისტემები	ECCN 7A994
ინერციული საზომი ელემენტი	ECCN 7A994
ინტეგრალური სქემები	ECCN 3A001, 3A991, 5A991
ნავთობსარეწი ტექნიკა	ECCN EAR99
ჰიდროლოკატორის სისტემა	ECCN 6A991
სპექტროფოტომეტრები	ECCN 3A999
საცდელი (სატესტო) აღჭურვილობა	ECCN 3B992
ამძრავი (საზღვაო)	ECCN 8A992
წყალქვეშა კომუნიკაცია	ECCN 5A991
ვაკუუმტუმბო	ECCN 2B999
ფუძეშრის დამამზადებელი მოწყობილობა	ECCN 3B001, 3B991
ფუძეშრის ფენები	ECCN 3C001 through 3C006

[1] **გამოყენებული წყაროები:**

Zoya Sheftalovich and Laurens Cerulus, "The Chips Are Down: Putin Scrambles for High-Tech Parts as his Arsenal Goes up in Smoke," Politico, September 5, 2022, https://www.politico.eu/article/the-chips-are-down-russia-hunts-western-parts-to-run-its-war-machines/

ჩამოთვლილი დეტალებიდან ბევრი იწარმოება სხვა ქვეყნების, მათ შორის, აშშ-ის, გერმანიის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოს, ტაივანისა და იაპონიის კომპანიებში, თუმცა მათი შოვნა შეიძლება ნებისმიერ ადგილას რეექსპორტიორებისა და საფრახტო კომპანიების მომსახურების გლობალური ხასიათიდან გამომდინარე.

სანქციების ზოგიერთი რეჟიმი, მაგალითად, ევროკავშირის სანქციები, სპეციფიკურად კრძალავს ორმაგი დანიშნულების საქონლის შემცველ ტრანზაქციებს, რაც მოიცავს:

- სათამაშო / გასართობ დრონებს;
- კომპლექსურ გენერატორებს;
- ლეპტოპებსა და კომპიუტერულ დეტალებს;
- ნაბეჭდ [ელექტრულ] სქემებს;
- რადიო-სანავიგაციო აღჭურვილობას;
- დისტანციური რადიოკონტროლის მოწყობილობას;
- თვითმფრინავის ძრავებსა და ძრავის ნაწილებს;
- კამერებსა და ლინზებს;
- დრონების ძრავებს;
- კამუფლაჟის აღჭურვილობას;
- დამატებით ქიმიურ / ბიოლოგიურ აღჭურვილობას;
- არეულობის კონტროლირებისას გამოყენებულ ნივთიერებათა ჯგუფს.

შესყიდვის ქსელები

რუსეთი ფლობს შესყიდვების კომპლექსურ და დახვეწილ ქსელს. კომპონენტების შეძენის ტრადიციულ წყაროებზე წვდომის არქონამ, რუსეთი აიძულა სხვა წყაროები მოეძია, იქნება ეს სხვა ქვეყნები თუ საეჭვო (არაგამჭვირვალე) არატრადიციული ქსელები.

რუსეთი ცდილობს იარაღის სისტემების წარმოებისთვის საჭირო კომპონენტები ჩაანაცვლოს სხვადასხვა გზით, მათ შორის, **ჩინელი მწარმოებლებისგან** შესაბამისი ნაწილების შესყიდვით. ამ მიდგომას, სავარაუდოდ, გავლენა ექნება რუსული სისტემების გრძელვადიან ხარისხსა და გამძლეობაზე. ჩინეთს, ასევე, როგორც ჩანს, არ აქვს წვდომა მაღალხარისხიან კომპონენტებზე, მიკროჩიპებსა და ნახევარგამტარებზე, რითაც კონკურენტულ ეკვივალენტებს შექმნიდა. რუსული იარაღის სისტემების წარმოება, ისტორიულად, ყოველთვის დამოკიდებული იყო დასავლურ სისტემებზე, რაც ჩინური ნაწილების გამოყენებას კიდევ უფრო ნაკლებ პრაქტიკულს ხდის.

ამასთან, ბოლო დროს, ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთი შეეცდება მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის, მათ შორის, ბალისტიკური რაკეტების, მიწა-ჰაერის ტიპის რაკეტებისა და დრონების **ირანისგან** შეძენას, რაც დაარღვევს 2015 წლის გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციას, რომელმაც დაამოწმა ირანის ბირთვული შეთანხმება, „ერთობლივი ყოვლის-მომცველი სამოქმედო გეგმა“ (JCPOA). ბაიდენის ადმინისტრაციამ, ასევე, გაატარა სანქციები ნებისმიერი ირანული ფირმის წინააღმდეგ, რომელიც ჩართულია ამ ტიპის ტრანსფერსა თუ გაყიდვებში. ევროკავშირმა აკრძალა გარკვეული აღჭურვილობის პირდაპირი ექსპორტი (მათ შორის, დრონის ძრავების) რუსეთში პირდაპირ ან ნებისმიერი სხვა მესამე ქვეყნის საშუალებით (როგორიცაა ირანი), საიდანაც იგი შეიძლება გადაიგზავნოს რუსეთში.

უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ უფრო რთული შემთხვევაა რუსეთის მიერ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემების შესყიდვა **მესამე ქვეყნების, ე. წ. ტრანზიტული ცენტრების** გავლით. ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის, RUSI-ის მიერ წარმოდგენილი ბოლოდროინდელი ანალიზის[2] თანახმად, რუსეთი აყალიბებს ფარულ და დანაშაულებრივ ქსელებს, რომლებიც მიზნად ისახავს მესამე ქვეყნის ტრანზიტული ცენტრების გამოყენებას მიკროელექტრონიკაზე წვდომის მოსაპოვებლად. ასეთი ქსელი, რომელიც მოიაზრებს ფასადურ კომპანიებსა და ყალბ საბოლოო მომხმარებლებს, ქმნის განსაკუთრებულ გამოწვევას, რადგან, ხშირად, ასეთი ორგანიზაცია ლეგიტიმურად შეისყიდის მიკროელექტრონიკასა და სხვა კომპონენტებს, შემდეგ კი რუსეთში სანქცირებულ საბოლოო მომხმარებელთან გზავნის. მიკროელექტრონიკის შუამავალი (მესამე მხარე) დისტრიბუტორები და საბითუმო მოვაჭრეები ხშირად ოპერირებენ შუალედური იურისდიქციებიდან, რაც ფირმებს ურთულებს გამოავლინონ და ერიდონ სანქცირებულ საბოლოო მომხმარებელთან ასოცირებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს. ზემოხსენებული გამოკვეთს შიდა შესაბამისობის მძლავრი სისტემისა და პროცედურების საჭიროებას, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ ამ სახელმძღვანელოში. ბოლოდროინდელი მაგალითები მოიცავს OFAC-ის მიერ სამი ინდივიდისა და ჰონგ-კონგური კომპანიის EMC Sud Limited-ის სანქცირებას იმის გამო, რომ მათ სავარაუდოდ უკანონოდ და ფარულად გაგზავნეს აშშ-დან, იაპონიიდან და ევროპიდან შესყიდული ელექტრონიკა რუსეთის თავდაცვის ინდუსტრიაში გამოსაყენებლად.

იარაღის გაყიდვა

ნავთობისა და გაზის ექსპორტის გარდა, რუსეთის მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემები მისი ყველაზე მომგებიანი საექსპორტო მიმართულებაა, თუმცა, ბოლო წლებში, ექსპორტი შესუსტდა რუსული იარაღის შეძენასთან დაკავშირებული პოლიტიკური და რეპუ-ტაციული ზარალის ზრდის პარალელურად. იარაღის ექსპორტიდან მიღებული მოგება, საერთო ჯამში, რუსული ეკონომიკის საექსპორტო შემოსავალის მნიშვნელოვან წილს შეადგენს; ამასთან, იარაღის გაყიდვა და იარაღის ექსპორტი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი

2 James Byrne, Gary Somerville, Joe Byrne, Jack Watling, Nick Reynolds, and Jane Baker, “Silicon Lifeline: Western Electronics at the Heart of Russia’s War Machine,” RUSI, August 2022, https://static.rusi.org/RUSI-Silicon-Lifeline-final-updated-web_1.pdf

ასპექტია. აშშ და სხვა ქვეყნები აქტიურად ლობირებენ მოკავშირეებისა და სხვა ქვეყნების, მაგალითად, ინდონეზიის ან მაროკოს მიერ რუსული სისტემების შეძენის საწინააღმდეგოდ. რუსეთი ცდილობს აირიდოს რუსული წარმოების სისტემებზე აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციები განსხვავებული ვალუტით გადახდის ან საქონლის გაცვლის საშუალებით.[4]

საქართველოში რუსული მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღისთვის მნიშვნელოვანი ბაზარი არ არის ან, შეიძლება, ითქვას, საერთოდ არ არის. თუმცა, ფირმებმა შეიძლება დაარღვიონ რუსული იარაღის გაყიდვასთან დაკავშირებული სანქციები და შესაბამისად დაჯარიმდნენ შემდეგ შემთხვევებში:

- **რუსული იარაღის ან ორმაგი დანიშნულების საქონლის დაფინანსება:** ფინანსურმა ინსტიტუტებმა სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ იმ ფინანსურ ტრანზაქციებთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მესამე მხარის (კერძო თუ სახელმწიფო) მიერ რუსული იარაღის ან ორმაგი დანიშნულების საქონლის დაფინანსების ან შესყიდვისთვის.

- **რუსული იარაღის ან ორმაგი დანიშნულების საქონლის ტრანსპორტირებაში მონაწილეობა:** ფინანსური ინსტიტუტები ან გადამზიდი, საჰაერო თუ საგზაო ტრანსპორტის კომპანიები შეიძლება დაექვემდებარონ კონკრეტული საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ სანქციებს.

კომპანიებმა, ასევე, უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და წინდახედულობა, რათა გამოავლინონ რუსული მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის სისტემების სავარაუდო შესყიდვის შემთხვევები. დარგის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, ალჟირი და ერაყი მომდევნო წლებში რუსული სისტემების ყველაზე სავარაუდო კლიენტები იქნებიან. რუსეთის მზარდი კავშირები თურქეთთან შეიძლება უფრო გაძლიერდეს. რუსეთმა, შეიძლება, ასევე გამოიყენოს გაყიდვები ძველი კავშირების (მაგალითად, ირანთან, სირიასთან და ვენესუელასთან) გასაძლიერებლად.[5]

შესაბამისი სანქცირებული ორგანიზაციები და ინდივიდები

ამოქმედებული რეჟიმების, მათ შორის, CAATSA-ს ფარგლებში სანქცირებულ ორგანიზაციათა და პირთა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. უმნიშვნელოვანესია, რომ ეს ჩამონათვალი მოიცავს **რუსული კონვენციური** იარაღის ყველა ელიტურ **მწარმოებელს.**

4 John Parachini and Ryan Bauer, "Sanctions Targeting Russia's Defense Sector: Will They Influence Its Behavior," The RAND Blog, May 20, 2021, https://www.rand.org/blog/2021/05/sanctions-targeting-russias-defense-sector-will-they.html

5 David Hutchins, "Russia's Advanced Conventional Weapons Trade and Associated Sanctions," Global Risk Intel, March 23, 2020, https://www.-globalriskintel.com/insights/russias-advanced-conventional-weapons-trade-and-associated-sanctions

- **სს „ალმაზ-ანტეის“ საჰაერო და კოსმოსური თავდაცვის კორპორაცია:** მსოფლიოს თავდაცვის ინდუსტრიის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპლექსია, რომელიც სპეციალიზებულია ჰაერსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო და კოსმოსური თავდაცვის სისტემების მიმართულებით, რომელთაგან აღსანიშნავია რუსეთის მიწა-ჰაერის კლასის რაკეტა S-400.

- **სს კვლევითი და საწარმო კორპორაცია „ურალვაგონზავოდი“:** დიდი მანქანური დანადგარების მწარმოებელი კორპორაცია და ტანკების ერთადერთი მწარმოებელი რუსეთში.

- **სს „რუსული ვერტმფრენები“:** სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ჰოლდინგი, რომელიც ზედამხედველობს რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის განკუთვნილი ვერტმფრენების დიზაინის (დაპროექტების), წარმოების, გამოცდისა (ტესტირების) და ტექმომსახურების პროცესებს.

- **სს „ტაქტიკური რაკეტების კორპორაცია“:** სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მსხვილი რუსული კონგლომერატი, რომელიც რუსეთის თავდაცვითი ინდუსტრიული ბაზისთვის აწარმოებს სხვადასხვა საბრძოლო მასალას, მათ შორის, რაკეტებსა და სხვა საჰაერო იარაღს, საზღვაო იარაღსა და რადარულ სისტემებს.

- **საჰაერო ხომალდების გაერთიანებული კორპორაცია:** საჰაერო-კოსმოსური და თავდაცვითი კორპორაცია, რომელიც მუშაობს სამხედრო, სამოქალაქო, სატრანსპორტო და უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების, დიზაინისა და გაყიდვის მიმართულებით.

- **გემთმშენებლობის გაერთიანებული კორპორაცია:** რუსეთის უმსხვილესი გემთმშენებელი კომპანია, რომელიც პასუხისმგებელია საბრძოლო ხომალდების, წყალქვეშა ნავების, ფრეგატებისა და ტრალერების წარმოებაზე რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის.

ზემოხსენებულმა მწარმოებლებმა არაერთხელ სცადეს მათ წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გვერდის ავლა. ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია „როიტერსის“ ბოლოდროინდელი რეპორტაჟი, რომლის მიხედვითაც 2015 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში „ალმაზ-ანტეიმ“, გერმანული ექსპორტ-კონტროლით გათვალისწინებული შეზღუდვების გვერდის ავლით, მოახერხა 10 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ლითონის დამმუშავებელი მაღალი სიზუსტის დანადგარების შეძენა. ექსპორტის სალიცენზიო დოკუმენტების თანახმად, ეს დანადგარები სხვა, სამოქალაქო დანიშნულებით იყო შესყიდული, სინამდვილეში კი „ალმაზ-ანტეის“ ქარხნებში აღმოჩნდა.

არსებობს, ასევე, **დამატებით რამდენიმე მნიშვნელოვანი რუსული კომპანია,** რომლებსაც შეეხოთ სანქციები რუსეთის თავდაცვით ინდუსტრიაში მათი წვლილის გათვალისწინებით. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია „როსტეკი“ და „როსობორონექსპორტი“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანახმად, „როსტეკი“ რუსეთის თავდაცვის, ინდუსტრიის, ტექნოლოგიისა და საწარმო სექტორის ქვაკუთხედია. შესაბამისად, სანქციები ეხება როგორც კომპანიას, ისე მის დირექტორთა საბჭოს. „როსობორონექსპორტი“ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული სააგენტოა, რომლის საქმიანობაც მოიცავს მრავალი სხვადასხვა სახეობის სამხედრო, თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების პროდუქტის, ტექნოლოგიისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს.

აშშ-ის სანქციები, ასევე, მიემართება რუსეთის უმსხვილეს **ფინანსურ ინსტიტუტებს** და ზღუდავს გარიგებებს იმ ბანკებთან, რომლებიც რუსეთის საბანკო სექტორის აქტივების საერთო რაოდენობის 80 პროცენტს ფლობენ. ეს სანქციები ეხება რუსული ბანკების ფილიალებს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, აშშ-ის სანქციები შეეხებო საქართველოში რუსული „ვი-თი-ბი“ ბანკის ფილიალსაც, რომელმაც, საბოლოოდ, შეაჩერა ოპერაციები საქართველოში.

აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების სამიზნეს წარმოადგენენ ცალკეული **ინდივიდებიც.** ინდივიდზე დაწესებული სანქციების შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანია, მოგზაურობის აკრძალვიდან დაწყებული აქტივების გაყინვით დამთავრებული. მნიშვნელოვანია, რომ სანქციების დამწესებელი ქვეყნის გარეთ მყოფი ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ რუსეთის სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსისა და დაზვერვის სამსახურების სასარგებლოდ საქონლისა და ტექნოლოგიის შესყიდვას, ასევე, შეიძლება დაექვემდებარონ სანქციებს. სანქცირებულ ინდივიდებს შორის შეიძლება მოხვდეს იმ სანქცირებული კომპანიების მფლობელები, რომლებსაც მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ შეიარაღებასთან დაკავშირებული საბოლოო მომხმარებლები ჰყავთ სამხედრო სფეროდან. მაგალითად, OFAC-მ სანქცირებულ პირთა ჩამონათვალში შეიყვანა იური ორეხოვი, რუსი შესყიდვების აგენტი და მისი ორი კომპანია - NDA GmbH და Opus Energy Trading, რადგან აშშ-იდან ყიდულობდა მიკროპროცესორებსა და ნახევარგამტარებს, რომლებიც გამოიყენებოდა რუსეთში საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავების, ჭკვიანი საბრძოლო მასალის, ჰიპერბგერითი და ბალისტიკური რაკეტების, სატელიტებისა და რადარების საწარმოებლად.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, ქართული ფირმები ზემოხსენებულ კომპანიებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში გარეულნი აღმოჩნდნენ, უფრო სავარაუდოა, რომ მაღალტექ-ნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული ტრანზაქციები წარიმართება ფასადური კომპანიის ან რუსეთის სამხედრო სფერო საბოლოო მომხმარებლებთან დაკავშირებული ლეგიტიმური კომპანიების ქსელის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სანქციების თანახმად, იურიდიული პირის (ორგანიზაციის) ქონება ან ქონების წილი, რომლის 50 პროცენტს ან მეტს (საერთო ჯამში) პირდაპირ ან ირიბად ფლობს ერთი ან რამდენიმე სანქცირებული პირი, ასევე, მოიაზრება სანქცირებულად. მაგალითად, იმის საჩვენებლად, თუ როგორი მნიშვნე-ლოვანია ასეთი ქსელების შესწავლა, ზემოხსენებული რუსული თავდაცვითი კომპანიისთვის, სს „ტაქტიკური რაკეტების კორპორაციისთვის“ (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც KTRV) დაწესებული სანქციები მიემართება მის დირექტორს, ბორის ვიკტოროვიჩ ობსონოვს და კორპორაციის სტრუქტურაში შემავალ 28 ერთეულს. აშშ-ის სახაზინო დეპარ-ტამენტის მიხედვით, ეს ერთეულები ქმნიან და აწარმოებენ სხვადასხვაგვარ პროდუქტს, რომლებიც გამოიყენება რუსეთის თავდაცვით-ინდუსტრიულ ბაზაში, მათ შორის, საბრძოლო აღჭურვილობა, რადარული სისტემები, სარაკეტო სისტემები და სხვა სამხედრო ტექნიკა. ამას გარდა, ნებისმიერი სხვა კომპანია (ერთეული), რომლის 50 პროცენტს ან მეტს, პირდაპირ ან ირიბად, ფლობს KTRV, ავტომატურად ექვემდებარება სანქციებს, მაშინაც კი თუ არ არის უშუალოდ მითითებული ზემოხსენებულ 28 ერთეულს შორის.[5] სანქციები, ასევე, შეეხო „გემთმშენებლობის გაერთიანებულ კორპორაციასთან“ დაკავშირებულ 28 და „რუსულ ვერტმფრენებთან“ ასოცი-რებულ 15 ერთეულს.

5 See complete list from U.S. Department of Treasury. “U.S. Treasury Sanction Russa’s Defense-Industrial Base, the Russian Duma and its Members, and Sberbanks CEO,” U.S. Department of the Treasury Press Release, March 24, 2022, https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0677

სანქცირებულ რუსულ კომპანიასთან საქმიან ურთიერთობაზე პოტენციურად უფრო დიდი რისკის შემცველი და ბევრად უფრო რთულად ასარიდებელია ტრანზაქციებისა და საქმიანი ურთიერთობის წარმოება **კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მოქმედ რეგიონულ ფირმებთან, რომლებიც წარმოადგენენ ტრანზიტულ პუნქტებს** მესამე მხარეებსა (შუამავალ ქვეყნებს) და რუსეთში მყოფ საბოლოო მომხმარებლებს შორის. FINCEN/BIS-ის ბოლოდროინდელ ერთობლივი საგანგაშო ნოტის თანახმად, საქართველო, სომხეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი განისაზღვრა, როგორც „საერთო ტრანზიტული პუნქტები, რომელთა გავლითაც აღინიშნა აკრძალული ან კონტროლირებული საექსპორტო საქონელის გადინება რუსეთისა და ბელარუსის მიმართულებით.“ 2022 წელს, სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზის გამო, გაიზარდა ვაჭრობა რუსეთსა და კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. მაგალითად, სომხეთ-რუსეთს შორის ვაჭრობა 49%-ით გაიზარდა 2022 წლის პირველ ნახევარში, 40%-ით ყირგიზეთის, 32%-ით საქართველოს, 29%-ით უზბეკეთის, 20%-ით ტაჯიკეთის, 17%-ით აზერბაიჯანისა და 5%-ით ყაზახეთის შემთხვევაში.[6]

კავკასიაში არსებული ბევრი ფაქტორი აქცევს **სომხეთსა და აზერბაიჯანს** სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის მოთხოვნების გვერდის ავლის მცდელობებისთვის სასურველ ადგილად. რუსეთში ორივე ქვეყნიდან წასული საკმაოდ ბევრი ექსპატრიატი ცხოვრობს, რომლებსაც კავკასიაში სერიოზული კავშირები აქვთ. როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში საკმაოდ ბევრი რუსული კომპანია ფუნქციონირებს. კავკასიაში მოქმედი რუსული კომპანიების (საწარმოების), ასევე, კავკასიაში ბიზნესის მქონე რუსი მეწარმეების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ორივეს შეუძლია იმ ტიპის კავშირების ჩამოყალიბება, რომლებიც სანქციების გვერდის ავლისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამის ერთ-ერთი მაგალითია 2022 წელს „მილურ ელექტრონიკსის“ მოხვედრა OFAC-ის სანქცირებულ კომპანიათა ჩამონათვალში, რადგან სომხური „მილური“ რუსული მიკროელექტრონიკის მწარმოებლის, „მილანდრის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც სანქცირებულია, როგორც რუსული სამხედრო კვლევისა და განვითარების სტრუქტურაში შემავალი თავდაცვითი ტექნოლოგიის კომპანია. „მილური“ - ისევე, როგორც მისი აღმასრულებელი დირექტორი - დაადანაშაულეს „მილანდრის“ სასარგებლოდ უცხოური ქარხნებიდან დეტალების შეკვეთაში, ინტეგრირებული მიკროჩიპების დამზადებასა და საზღვარგარეთ სავაჭრო ურთიერთობების წარმოებაში.[7]

ცენტრალურ აზიას ისტორიის მანძილზე ყოველთვის მჭიდრო პოლიტიკური კავშირები ჰქონდა რუსეთთან, განსაკუთრებით კი რუსეთის თავდაცვის ინდუსტრიასთან და დიდი ხნის განმავლობაში სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკით ამარაგებდა მას. შიდა საკანონმდებლო გარემო და რუსეთის თავდაცვის სექტორთან მჭიდრო ურთიერთობა ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანას სანქციების გვერდის ავლისთვის მეტად ხელსაყრელ ადგილად აქცევს. ამასთან, ბევრს არ აქვს რუსულ სანქცირებულ ბიზნესებთან თანამშრომლობისთვის მეორადი სანქციების დაწესების ეფექტური მექანიზმი. 2022 წლის ივნისში, აშშ-მ სანქციები დაუწესა უზბეკურ კომპანიას, კერძო კომპანია „პრომკომპლეკლოგისტიკს“, რადგან ეს უკანასკნელი საქონელს უგზავნიდა რუსეთში ელექტრონიკის სანქცირებულ მწარმოებელს - „რადიოავტომატიკას“, რომელიც რუსეთის თავდაცვის ინდუსტრიისთვის უცხოური დეტალების

6 Alexey Eremeko and Henry Smith, “Managing Rising Sanctions Risks Across the South Caucasus and Central Asia,” Control Risks, https://www.controlrisks.com/our-thinking/insights/managing-rising-sanctions-risks-across-the-south-caucasus-and-central-asia

7 “Treasury Sanctions Global Russian Military Supply Chain, Kremlin-linked Networks, and Elites with Western Fortunes,” U.S. Department of Treasury, November 14, 2022, https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1102

შესყიდვებზე მუშაობს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ „კერძო კომპანია „პრომკომპლეკლოგისტიკის“ მაგალითი უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშანი ყველა კომერციული კომპანიისთვის მთელს მსოფლიოში: თუ საქმიანი ურთიერთობები გექნებათ სანქცირებულ ინდივიდებთან ან კომპანიებთან, თავადაც სანქცირების რისკის წინაშე აღმოჩნდებით.“ ასევე, არსებობს ყირგიზული საწარმოების მაგალითები, რომლებიც აწარმოებენ და აწვდიან რუსეთს წყალქვეშა და წყალზედა საზღვაო ხომალდების შეიარაღებას. იყო ყაზახური კომპანიის შემთხვევაც, რომელიც რუსული დიზაინის საფრენი აპარატებისა და ვერტმფრენებისთვის აწარმოებდა სხვადასხვა კომპონენტს.[8]

საქართველოს კონტექსტში არსებული საფრთხეები

არსებობს ვარაუდი – მყარი დასაბუთებების გარეშე – რომ სანქცირებული რუსი პირები და ფირმები იყენებენ საქართველოს ფინანსურ სისტემას, ბანკებსა და კომპანიებს ტრანზაქციების განსახორციელებლად და სანქციების გვერდის ასავლელად. სპეციფიკური დასაბუთების გარეშეც კი, გონივრულია, ვივარაუდოთ, რომ საქართველო, ისევე, როგორც მისი მეზობლები, ასეთი მოქმედებების განსახორციელებლად ხელსაყრელი ადგილია, რაც განაპირობებს განსაკუთრებული სიფრთხილის საჭიროებას ქართული ფინანსური და კერძო სექტორის მხრიდან.

საქართველოს აქვს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაძლებელს ხდის გარკვეული ტიპის მართლსაწინააღმდეგო ტრანზაქციების არიდებას - „საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.“ ეს კანონი ფოკუსირებულია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციებზე, რომლებიც აწესებს ფულის გათეთრებასთან, საზღვარგარეთ ტერორიზმის, [იარაღის] გავრცელების დაფინანსებასთან დაკავშირებულ სანქციებს, რამდენადაც სანქციების ეს რეჟიმები იურდიულად სავალდებულოა და საქართველოსაც მიემართება. ამ რეზოლუციების შესახებ სამთავრობო კომისიას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო სანქცირებული პირებისა და ერთეულების ჩამონათვალი სამინისტროს სატზეა განთავსებული. თუმცა, ეს არ ეხება ორმხრივ (არა-გაეროს) მიერ დაწესებულ სანქციებს, როგორებიცაა წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული სანქციებისა და კონტროლის რეჟიმები.

არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის საქონლის ტრანსპორტირების რამდენიმე გზა. ამჟამად, საქართველო რუსეთს **გზის საშუალებით** უკავშირდება, საზღვრის კვეთის ერთადერთი მოქმედი პუნქტი კი ყაზბეგშია. სტატისტიკის თანახმად, ამ მარშრუტის გავლით გადაზიდვების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლებში, 2019 წლიდან მოყოლებული კი მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა. ამ მარშრუტზე სანქცირებული ტვირთის გამოვლენა ძირითადად საქართველოს საბაჟო სამსახურის პასუხისმგებლობად რჩება, რადგან საქართველოს საგზაო ტრანსპორტირების კომპანიების უმეტესობას არ აქვს სანქციების რეჟიმების შესახებ სათანადო ცოდნა. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI)[9] ბოლოდროინდელი პუბლიკაცია, სახელმწიფო მოხელეებისგან

[8] Yevgeniya Gaber, Yurii Poita, Gela Vasadze, “Support of the Sanctions Regime Against Russia by Turkiye and Countries of the South Caucasus and Central Asia,” Ukrainian Prism Foreign Policy Council, http://prismua.org/en/sacntions2467/

[9] Institute for Development of Freedom of Information, “Georgia’s Implementation of International Sanctions Imposed on Russia (February-August),” 2022 https://bit.ly/3FNURWD

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკვეთს იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც საქართველო დგას. 2022 წლის თებერვლიდან აგვისტომდე, შემოსავლების სამსახურმა გააბრუნა ჯამში 204 ტვირთი, რომელიც მიემართებოდა რუსეთისა და ბელარუსისკენ, მათ შორის რუსეთისკენ მიმავალი დრონების პარტია. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა ლაშა ხუციშვილმა განაცხადა, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 23 იანვრის ჩათვლით, „ათასზე მეტი ტრანზაქცია შეჩერდა და გაუქმდა სანქციების დარღვევის რისკის გამო.“[10] სარეგისტრაციო ბარათების თანახმად, სანქცირებული ტვირთის (სანქცირებული პირის კუთვნილი ტვირთის) გადმომგზავნ ქვეყნებს შორის ყველაზე ხშირად იყვნენ თურქეთი (39%), სომხეთი (35%), და 15 შემთხვევაში (7%) საქართველო იყო მითითებული წარმოშობის ქვეყნად. საქონლის **სარკინიგზო ხაზით** გადატანა უფრო იშვიათია, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი სარკინიგზო ხაზი არ არსებობს. სარკინიგზო გადაზიდვები ხორციელდება აზერბაიჯანის გავლით, რადგან აზერბაიჯანში სარკინიგზო მიმოსვლის ოპერატორი და მომსახურე რუსული კომპანიაა. საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა არ არსებობს. ამის მიუხედავად, შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის და, ასევე, ტვირთის **საჰაერო ტრანსპორტირება**, მინსკის, ერევანისა თუ სტამბულის გავლით. საქართველოს საჰაერო კომპანიებს უკეთ აქვთ გააზრებული სანქციების მოთხოვნები და აქვთ უკანონო ტრანზაქციების გამოვლენა-პრევენციისთვის საჭირო სათანადო პროცედურაც.

IDFI-ის ანგარიშში, ასევე, გაწერილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გარკვეული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს სანქციების რეჟიმებთან საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების შესაბამისობას. ეს მოიცავს შემდეგს:

- სანქცირებულ ბანკთან ყველა ტრანზაქციის და მისთვის უცხოური ვალუტის მიწოდების შეწყვეტა (რუსული VTB ბანკის ქართული ფილიალი);
- კომერციული ბანკებისა და საგადასახადო მომსახურების მომწოდებლებისთვის დამატებითი საანგარიშო ფორმების შემუშავება, რომლითაც მოითხოვება დეტალური ინფორმაცია რუსეთთან, ბელარუსთან და სხვა მაღალი რისკის შემცველ ქვეყნებთან დაკავშირებული კლიენტების / ტრანზაქციების შესახებ.
- საერთაშორისო სანქციების შესრულების მეთვალყურე დეპარტამენტის შექმნა.
- კომერციული ბანკებისთვის სანქციებთან დაკავშირებული პროცედურების განახლების ინსტრუქციების მიწოდება.

ადგილზე ინსპექციის მექანიზმისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.

ქართული ფინანსური ფირმების პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა საბანკო ოპერაციებზე სანქციების რეჟიმების სავარაუდო ზემოქმედების და თანმდევი შედეგების შესახებ სიღრმისეული ცოდნა. ქართული ბანკები აცხადებენ, რომ დეტალურად აკვირდებიან რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების შესრულებას, ტრანზაქციებსა და ღიად ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ასევე, ახორციელებენ რუსული ფირმებისა და პირების ფინანსურ-იურიდიულ ექსპერტიზას. ზოგიერთი ბანკი ითხოვს დამატებით ინფორმაციასა და წარმოშობასთან

[10] ლაშა ხუციშვილი - 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ 1000-ზე მეტი ოპერაციაა შეჩერებული და გაუქმებული, რადგან არსებობდა სანქციების დარღვევის რისკი - შესაძლებელია, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაშიც ვერ ხორციელდებოდეს ასეთი კონტროლი, Interpress News, January 23, 2023, https://bit.ly/3FTWdiC

დაკავშირებულ დოკუმენტაციას იმის დასამოწმებლად, რომ კონკრეტული პირი ან ორგანიზაცია არ შედის სანქცირებულ ინდივიდთა თუ ორგანიზაციათა ჩამონათვალში. სხვა ბანკებმა აღნიშნეს, რომ შედარებით შეზღუდული ინფორმაცია აქვთ მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღისა და მისი კომპონენტების შესახებ, ასევე, უჭირთ იმ ტრანზაქციების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება სანქცირებულ ინდივიდებსა თუ პირებს მიემართებოდეს.

ქართულ სატრანსპორტო კომპანიებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა სანქციების შესახებ ზოგადი ცოდნა, თუმცა, კი ნაკლებ ერკვევიან მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული სანქციების სპეციფიკურ მოთხოვნებში. საქართველოში სატრანსპორტო კომპანიები ცდილობენ აირიდონ რისკები რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობაზე უარით და, ასევე, ერიდებიან ახლად რეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებსაც შეიძლება რუსეთთან ნაკლებ გამჭვირვალე კავშირი ჰქონდეთ. ტრანსპორტირების ზოგიერთი კომპანია იტყობინება გარკვეული ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც მიმართავენ ტვირთის გამგზავნის, მიმღების, ტრანსპორტირების ღირებულების გადამხდელის ვინაობების გამოსავლენად და, ასევე, ცდილობენ, გამოარკვიონ, არის თუ არა გადასაზიდი საქონელი ორმაგი დანიშნულების. ქართული ფირმები გამოხატავენ მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული სანქცირებული ინდივიდების, კომპანიებისა და ობიექტების უფრო ადვილად მოძიებადი და ამომწურავი სიის არსებობის სურვილს.

შემთხვევების ანალიზი

ქვემოთ მოცემული შემთხვევები შეირჩა შემდეგი მიზნებისთვის: გამოიკვეთოს მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული უკანონო ფინანსური ტრანზაქციის ვერგამოვლენის რეალური ზემოქმედება თუ თანმდევი შედეგები და, ასევე, წარმოაჩინოს, რა როლი შეიძლება ითამაშოს ფასადურმა და შუამავალმა კომპანიებმა ამ ტრანზაქციებში.

1. რადიაციაგამძლე ჩიპები ბულგარეთის გავლით რუსეთისკენ.[11]

შემთხვევის აღწერილობა: ილიას საბიროვი დიდი ხანია აშშ-ში წარმოებული საიარაღო დანიშნულების ელექტრონიკის, მათ შორის მძლავრი კომპიუტერული ჩიპების, რუსი მომწოდებელია რუსეთის თავდაცვის სექტორისთვის. საბიროვს 2014 წლის შემდეგ ამოქმედებული სანქციები და ექსპორტ-კონტროლის შეზღუდვები შეეხო. მისი კომპანია, სავარაუდოდ, ყიდულობდა რადიაციაგამძლე ჩიპებს (სარაკეტო და სამხედრო სატელიტების წარმოების საკვანძო დეტალი) ტექსასში, ოსტინში მდებარე კორპორაციიდან „სილიკონ-სფეის ტექნოლოჯი“ (Silicon Space Technology Corp – SST). შემდეგ შესყიდული საქონელი ბულგარეთში არსებული ფირმის გავლით იგზავნებოდა რუსეთში, რათა აერიდებინათ აშშ-ის ექსპორტ-კონტროლის რეგულაციები. გამომძიებლებმა აღმოაჩინეს მომწოდებლების, ყალბი და ფასადური კომპანიების კომპლექსური ქსელი და ექსპორტის ფორმებში მოცემული ყალბი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, სპეციალიზებული დასავლური კომპონენტები გამიზნული იყო მხოლოდ სამოქალაქო და არა სამხედრო გამოყენებისთვის. SST ამტკიცებდა, რომ ეგონა, ტვირთი ბულგარეთში, ევროპაში გამოსაყენებლად მიემართებოდა, რადგან მიიღო საბოლოო მომხმარებლის

[11] David Gauthier-Villars, Steve Stecklow, John Shiffman, “Special Report: How Military Technology Reaches Russia in Breach of U.S. Export Controls,” Reuters, April 29, 2022, https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-russia-sanctions-idAFKCN2ML19M)

ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებდა, რომ საბოლოო მომხმარებელი რუსეთში არ იმყოფებოდა. საბიროვი და მისი ბულგარელი შუამავლები, დიმიტარ და მილან დიმიტროვები, აშშ-ის სამსახურებმა 2020 წელს შეიყვანეს სანქცირებულთა სიაში ფულის გათეთრებისა და რუსეთში რადიაციაგამძლე ჩიპების უკანონო ექსპორტის ბრალდებით. აშშ-ის კომპანია SST $497,000-ით დააჯარიმა შარშან აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის ინდუსტრიისა და უსაფრთხოების ბიურომ ცალკეული სააღსრულებო ღონისძიების საშუალებით.

2. მაღალტექნოლოგიური მიკროელექტრონიკა გერმანიიდან რუსული თავდაცვის კომპანიებისთვის[12]

შემთხვევის აღწერილობა: გერმანულმა კერძო პარტნიორობა R&S Electronics Gb-მა, სავარაუდოდ, მიჰყიდა დასავლეთში წარმოებული ნახევარგამტარების კომპონენტები რუსულ საიმპორტო-საექსპორტო ფირმებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებს 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე და შემდეგ პერიოდშიც (ასევე, შესაბამისი სანქციებისა და ექსპორტის შეზღუდვების ამოქმედებამდე და შემდეგაც). ფინანსური დანაშაულის ანალიტიკური ცენტრის „ხარონის“ (Kharon) გამოძიების თანახმად, ორი ტრანზაქცია ავლენს იმგვარ ხვრელებს, რომლებმაც შეიძლება გაართულოს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტებთან დაკავშირებული მოქმედი სანქციების აღსრულება. პირველი, რადგან R&S Electronics-ის ერთ-ერთი მთავარი კლიენტია რუსული კომპანია, რომელიც ნახევარგამტარების კომპონენტებს ჰყიდდა სანქცირებულ სამხედრო საბოლოო მომხმარებლებზე რუსეთში, თვითონ ორგანიზაცია არც სანქცირებულია და არც ევროკავშირისა თუ BIS-ის ექსპორტ-კონტროლის ჩამონათვალშია აღრიცხული. R&S Electronics-მა, ასევე, სავარაუდოდ, მიაწოდა აღჭურვილობა აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ აღრიცხულ რუსულ შპს-ს, რომელიც სატელეკომუნიკაციო და სხვა ელექტრონული აღჭურვილობით უზრუნველყოფს რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სანქცირებულ კომპანიებს.

3. აშშ-ის ტექნოლოგია რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი თავდაცვითი ფირმისთვის[13]

შემთხვევის აღწერილობა: გერმანულმა კერძო პარტნიორობა R&S Electronics Gb-მა, სავარაუდოდ, მიჰყიდა დასავლეთში წარმოებული ნახევარგამტარების კომპონენტები რუსულ საიმპორტო-საექსპორტო ფირმებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებს 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე და შემდეგ პერიოდშიც (ასევე, შესაბამისი სანქციებისა და ექსპორტის შეზღუდვების ამოქმედებამდე და შემდეგაც). ფინანსური დანაშაულის ანალიტიკური ცენტრის „ხარონის“ (Kharon) გამოძიების თანახმად, ორი ტრანზაქცია ავლენს იმგვარ ხვრელებს, რომლებმაც შეიძლება გაართულოს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტებთან დაკავშირებული მოქმედი სანქციების აღსრულება. პირველი, რადგან R&S Electronics-ის ერთ-ერთი მთავარი კლიენტია რუსული კომპანია, რომელიც ნახევარგამტარების კომპონენტებს ჰყიდდა სანქცირებულ სამხედრო საბოლოო მომხმარებლებზე რუსეთში, თვითონ ორგანიზაცია არც სანქცირებულია და არც ევროკავშირისა თუ BIS-ის ექსპორტ-კონტროლის ჩამონათვალშია .

12 Peter Maroulis and Robert Kim, “German Partnership Supplied Western Dual-Use Technology to Rusian Defense Companies, Kharon: The Brief, November 1, 2022, https://brief.kharon.com/updates/german-partnership-supplied-western-dual-use-technology-to-russian-defense-companies?utm_content=233003552&utm_medium=social&utm_source=linkedin&hss_channel=lcp-11688499

13 Aram Rosten and David Gauthier-Villars, “Special Report: U.S. Firm Supplied Networking Tech to Maker of Russian Missiles,” Reuters, October 12, 2022, https://www.reuters.com/technology/how-us-firm-supplied-networking-technology-maker-feared-russian-missiles-2022-10-12/

აღრიცხული. R&S Electronics-მა, ასევე, სავარაუდოდ, მიაწოდა აღჭურვილობა აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ აღრიცხულ რუსულ შპს-ს, რომელიც სატელეკომუნიკაციო და სხვა ელექტრონული აღჭურვილობით უზრუნველყოფს რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სანქცირებულ კომპანიებს

4. ამერიკული ტექნოლოგია და აღჭურვილობა უკრაინაში გამოყენებული რუსული მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღში[14]

შემთხვევის აღწერილობა: ბრიტანულმა თავდაცვისა და უსაფრთხოების ანალიტიკურმა ცენტრმა RUSI-მ 2022 წელს გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც დეტალურად განიხილავდა კონვენციური იარაღის 27 სხვადასხვა რუსულ სისტემას, მათ შორის - ფრთოსან რაკეტებს, უპილოტო საფრენ აპარატებსა და საკომუნიკაციო აღჭურვილობას. კვლევამ გამოავლინა, სულ მცირე, [რუსულ სისტემებში] 450 სხვადასხვა სახის უნიკალური, საზღვარგარეთ წარმოებული კომპონენტი, რომელთა უმეტესობაც აშშ-ის კომპანიების მიერ აშშ-ის შეირაღებული ძალებისთვის იწარმოებოდა. ამათგან, სულ მცირე, 80 სხვადასხვა სახის კომპონენტი ექვემდებარებოდა აშშ-ის ექსპორტ-კონტროლს, რაც ადასტურებს რუსეთის ისტორიულ და ამჟამინდელ შესაძლებლობას, გვერდი აუაროს შეზღუდვებს.

5. ვენესუელის ნავთობი და რუსული სამხედრო ტექნიკა[15]

შემთხვევის აღწერილობა: 2022 წლის ოქტომბერში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ბრალი წაუყენა რუსეთის რამდენიმე მოქალაქეს იმის საფუძველზე, რომ მათ „შეიმუშავეს კომპლექსური სქემა, რომლის საშუალებითაც ცდილობდნენ აშშ-ის სამხედრო ტექნოლოგიისა და ვენესუელური სანქცირებული ნავთობის უკანონოდ მოპოვებას ფასადური კომპანიებისა და კრიპტოვალუტის საშუალებით განხორციელებული მრავალი ტრანზაქციის გამოყენებით.“ ვენესუელიდან ასობით მილიონი ბარელი ნავთობის კონტრაბანდული გზით გამოტანის გარდა, ბრალდებულმა გამოიყენა ფასადური კომპანია აშშ-ის მწარმოებლებისგან მგრძნობიარე სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიის შესასყიდად და მოსაპოვებლად, რომელთა შორისაც იყო რუსული საბრძოლო თვითმფრინავების, სარაკეტო სისტემების, ჭკვიანი საბრძოლო მასალის, რადარის, სატელიტებისა და სხვა სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობის წარმოებისთვის განკუთვნილი მაღალტექნოლოგიური ნახევარგამტარები და მიკროპროცესორები. ამ უკანონო აქტივობებისთვის გადახდა ხორციელდებოდა აშშ-ის ფინანსური ინსტიტუტების გავლით, ფიქტიური კომპანიების, კლიენტის შესწავლის („იცოდე შენი კლიენტი“) გაყალბებული დოკუმენტაციის და კრიპტოვალუტის ტრანსფერების საშუალებით ფულის გათეთრების მიზნით.

14 James Byrne, Gary Somerville, Joe Byrne, Jack Watling, Nick Reynolds, and Jane Baker, “Silicon Lifeline: Western Electronics at the Heart of Russia’s War Machine,” RUSI, August 2022, https://static.rusi.org/RUSI-Silicon-Lifeline-final-updated-web_1.pdf

15 “Justice Department Announces Charges and Arrests in Two Cases Involving Export Violation Schemes to Aid Russian Military,” Justice News, October 2022, https://www.justice.gov/opa/pr/justice-department-announces-charges-and-arrests-two-cases-involving-export-violation-schemes

5. ექსპორტ-კონტროლის არიდება რუსეთის მთავრობის ჩართულობის საშუალებით[16]

შემთხვევის აღწერილობა: 2022 წლის დეკემბერში, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა რუსეთის ხუთ და აშშ-ის ორ მოქალაქეს წაუყენა ბრალდება, რადგან ისინი, სავარაუდოდ, ფარულად შეთანხმდნენ რუსეთის თავდაცვის სექტორისთვის აშშ-ის კომპანიებისგან სამხედრო დანიშნულებისა და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიის მოპოვებაზე და სნაიპერული იარაღის ტყვია-წამლის კონტრაბანდული საშუალებით გატანაზე აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების დარღვევით. ბრალდებულებმა „უკანონოდ შეისყიდეს და ქვეყნიდან გაიტანეს ზემგრძნობიარე და მკაცრად რეგულირებული ელექტრონული კომპონენტები, რომელთაგან ზოგიერთი გამოიყენება ბირთვული და ჰიპერბგერითი იარაღის წარმოებაში, კვანტური კომპიუტერული ოპერაციებისა და სხვა სამხედრო დანიშნულებით.“ ბრალდებულები მართავდნენ ფასადური კომპანიების ქსელსა და საბანკო ანგარიშებს რუსეთის მთავრობის ჩარევისა და სანქცირებული საბოლოო მომხმარებლების იდენტობების მისაჩქმალად. ბრალდებულებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, რუსეთის მთავრობის მითითებების შესაბამისად მოქმედებდნენ, გააყალბეს გადაზიდვის დოკუმენტები, ანგარიშფაქტურები და გაგზავნეს კომპონენტები შუამავალ პუნქტებში.

საკვანძო მიგნებები

- შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ფირმებმა კარგად უნდა იცოდნენ **სანქციების მრავალი სხვადასხვა რეჟიმის შესახებ,** რომელთაგან ზოგი ორმხრივი, ზოგი კი მრავალმხრივია. ზოგიერთ რეჟიმს ექსტრატერიტორიული აღსრულების მექანიზმებიც აქვს, დანარჩენები კი მოითხოვს, რომ ტრანზაქციის გარკვეული ასპექტი შესრულდეს კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.

- არსებობს **მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის** მრავალი **შემადგენელი ნაწილი** (ცხრილი X და X), რომლებიც შეიძლება სანქცირებულ პროდუქტს არ ჰგავდეს, მაგრამ მაინც ექვემდებარებოდეს სექტორულ სანქციებსა და სპეციფიკურ აკრძალვებს.

- რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან შესაბამისობა მოითხოვს სიფრთხილეს სხვა ქვეყნებში მოქმედი ფირმებისა და მასალების მომცველ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რადგან არსებობს **შესყიდვების კომპლექსური და დახვეწილი ქსელები,** რომელთა მიზანიც სანქციებისთვის გვერდის ავლაა.

- სანქციები მიემართება **მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის მსხვილ რუსულ მწარმოებლებს,** ასევე, თავდაცვის სხვა მნიშვნელოვან კომპანიებსა და სამხედრო სფეროს საბოლოო მომხმარებლებს. თავდაცვის ინდუსტრიასთან ასოცირებული **კონკრეტული ინდივიდები** ასევე ექვემდებარებიან სანქციებს.

16 “Russian Military and Intelligence Agencies Procurement Network Indicted in Brooklyn Federal Court,” Justice News, December 13, 2022, https://www.justice.gov/opa/pr/russian-military-and-intelligence-agencies-procurement-network-indicted-brooklyn-federal

სანქციებზე ეფექტური და შესაბამისი რეაგირება

ნებისმიერმა კომპანიამ, რომელიც მრავალ სხვადასხვა იურისდიქციაში საქმიანობს, საფინანსო თუ საბანკო მომსახურების სფეროში ან თავდაცვასა და ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ სექტორებში ოპერირებს, სერიოზულად უნდა განიხილოს სანქციებთან ან ექსპორტის კონტროლის რეჟიმებთან შეუთავსებლობის რისკები. აღსრულების მექანიზმების დაჩქარებული გაფართოება დღესდღეობით ყველა კომპანიას, სექტორის მიუხედავად, აიძულებს, სანქციებთან შესაბამისობის სათანადო მექანიზმის უქონლობის პირობებში, გაითვალისწინოს სანქციების აღსრულებით შექმნილი რისკები. ზოგიერთი ტიპის კომპანია (მაგალითად, ლოგისტიკური, ფინანსური თუ კონკრეტული პროდუქტის მწარმოებელი) დანარჩენებზე უფრო მოწყვლადია. რამდენადაც რუსეთს სახსრების მოძიებისა და მოპოვების, გადახდების განხორციელებისა თუ მართლსაწინააღმდეგო აქტივობების ხელშეწყობის თვალსაზრისით სჭირდება წვდომა ოფიციალურ ფინანსურ სისტემაზე, კერძო სექტორში შემავალ კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ გადაამოწმონ კლიენტებსა თუ კონკრეტულ ტრანზაქციებთან დაკავ-შირებული რისკები და, ასევე, გამოავლინონ მართლსაწინააღმდეგო ქმედებები და შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს. ქართულ ფირმებს, დიდი ალბათობით, ბოლო წლებამდე არ დასჭირვებიათ განსაკუთრებული სიფრთხილე ამ ტიპის ტრანზაქციების შემთხვევაში, შესაბამისად, ზოგიერთი კომპანია შეიძლება არ იყოს შესაფერისად ინფორმირებული რუსული კომპანიებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გარკვეული შეზღუდვების შესახებ. ფირმები, რომლებიც აწარმოებენ მაღალი სპეციფიკაციის მქონე პროდუქტს და, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო შესყიდვების სასურველ სამიზნეს წარმოადგენენ, ხშირად მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნებიან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ კომპანიას (განსაკუთრებით ფინანსური მომსახურებისა და საბანკო სექტორში) შემუშავებული ექნება შესაბამისობის პროგრამა, არსებობს ისეთებიც, რომელთაც არ აქვთ სათანადო რესურსები და ინფორმაცია (ცოდნა) რისკების შესაფასებლად და შესაბამისი რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოსაყენებლად მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ უკანონო ტრანზაქციებთან ბრძოლისთვის.

მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობის პროგრამები საქართველოში

არსებობს სხვადასხვა ტიპის კომპანია, რომლებსაც სჭირდებათ სანქციებთან შესაბამისობის ეფექტური პროგრამები. მათ შორისაა:

- ფინანსური ინსტიტუტები: BIS/FINCEN-ის მიხედვით, ამ ტიპის ფირმების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ფინანსების უზრუნველყოფა, ტრანზაქციის დამუშავება, საკრედიტო ხაზის გაცემა, დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი ექსპორტის საშუალებით, კაპიტალური დანიშნულების სესხების გაცემა, საქონლის ტრანსპორ-ტირებისა და მიწოდების დაზღვევის გადახდა ან უზრუნველყოფა. **საქართველოში ეს კატეგორია მოიცავს კომერციულ და ელექტრონულ ბანკებს, საკრედიტო ბარათების ოპერატორ კომპანიებსა და ვალუტის გადამცვლელ დილერებს.**

- ელექტროტექნიკის ფირმები: ელექტროტექნიკის ექსპორტიორები და გადამყიდველები სანქციებსა და ექსპორტ-კონტროლის რეჟიმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან, რაც მოიცავს იმ კომპონენტების გაყიდვას, რომლებიც მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის წარმოებაში გამოიყენება. ელექტროტექნიკის ბევრი ექსპორტიორი დიდი მოცულობის საქონელს ყიდის და კლიენტების ფართო დიაპაზონი ჰყავს. ამ ტიპის ბიზნესი, როგორც წესი, მზა, სტანდარტული ნაწილებით ვაჭრობს. უკანონო გაყიდვების არიდების პროცესის საკვანძო ასპექტია საბოლოო მომხმარებლის შესწავლა, რასაც კლიენტების სიმრავლე და ცვალებადობა ართულებს. შესაბამისობის დაცვა ადვილია იმ ფირმებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად მგრძნობიარე ელექტროტექნიკაზე, მაგალითად, თავდაცვის სექტორის მომარაგებაზე, არიან ორიენტირებულები, რადგან, როგორც წესი, მუდმივი კლიენტების შედარებით ვიწრო წრე ჰყავთ. **საქართველოში ამ ტიპის ფირმები მოიცავს ელექტრო და სხვა ტიპის ტექნოლოგიის იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს**.

- სატრანსპორტო კომპანიები: აშშ-ის სანქციები და ექსპორტის კონტროლის აღსრულება უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება მომარაგების ჯაჭვთან დაკავშირებულ რისკებზე და მიემართება სანქცირებული საქონლის ტრანსპორტირებას, გადაგზავნასა (გადამისამართებას) და გადაადგილებას, რაც შეიძლება განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდეს მიწოდების ჯაჭვში სანქცირებული ელემენტების გამოვლენისთვის საჭირო სკრინინგის ინსტრუმენტების შეზღუდულობის გათვალისწინებით. **საქართველოში ამ ტიპის ფირმები მოიცავს საჰაერო გადამზიდავ კომპანიებს, საფრახტო ტრანსპორტირებას, რკინიგზას, საზღვაო გადამზიდავ კომპანიებს და საგზაო ტრანსპორტის ოპერატორებს.**

- სკრინინგის ინსტრუმენტების შეზღუდულობის გათვალისწინებით. **საქართველოში ამ ტიპის ფირმები მოიცავს საჰაერო გადამზიდავ კომპანიებს, საფრახტო ტრანსპორტირებას, რკინიგზას, საზღვაო გადამზიდავ კომპანიებს და საგზაო ტრანსპორტის ოპერატორებს.**

- თავდაცვის სექტორი: ზოგიერთ ქვეყანაში თავდაცვის სექტორი – როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კომპანიები – შეიძლება ჩაერთოს სამხედრო დანიშნულების კომპონენტების ექსპორტსა თუ იმპორტში. **საქართველოში რუსული კონვენციური იარაღის გამოყენების არეალი მეტად შეზღუდულია საქართველო-რუსეთის სამხედრო და უსაფრთხოების ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების არარსებობის გამო.**

სანქციებთან შესაბამისობის ეფექტურ პროგრამას უნდა შეეძლოს სანქციების ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტაცია, რაც განსაკუთრებით ეხება რუსეთსა და მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული უკანონო ტრანზაქციების არიდების პოლიტიკას შესაბამისი სანქციებისა და ექსპორტ-კონტროლს მოთხოვნების სწრაფად ცვალებადი ხასიათის გათვალისწინებით.

სანქციებთან შესაბამისობის საბაზისო პროგრამა, ჩვეულებრივ, მოიცავს შიდა წესებსა და პროცედურებს, რომლებიც, როგორც წესი, შესაბამისობის სახელმძღვანელოშია გაწერილი. ეს წესები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:[17]

17 Zia Ullah and Victoria Turner, "Principled Guide to Sanctions Compliance Programmes," Global Investigations Review, July 8, 2022, https://globalinvestigationsreview.com/guide/the-guide-sanctions/third-edition/article/principled-guide-sanctions-compliance-programmes

- რომელი სანქციები წარმოადგენს რისკს კონკრეტული ფირმისთვის;
- რატომ არის ფირმისთვის მნიშვნელოვანი სანქციებთან შესაბამისობა;
- კონტროლის რა მექანიზმები არსებობს სანქციებთან ფირმის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- რა ვალდებულებები ეკისრებათ ცალკეულ თანამშრომლებს;

  რა იქნება სანქციებთან შეუთავსებლობის თანმდევი შედეგები.

მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღზე მორგებული რისკების შეფასება

რისკების შეფასება ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, დასახოს პრიორიტეტები და გაწეროს პროცედურები, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღსა და შესაბამის სანქციებთან დაკავშირებული რისკების შესწავლაში შეუწყობს ხელს. რისკის ანალიზი სანქციებთან შესაბამისობის ნებისმიერი პროგრამის ქვაკუთხედია. რისკების შეფასების გარეშე ქმედითი ვერ იქნება ქვემოთ მოცემული ვერცერთი საუკეთესო პრაქტიკა (შიდა კონტროლის მექანიზმები (მათ შორის, იურიდიულ-ფინანსური ექსპერტიზა და სკრინინგი), წესები და პროცედურები თუ ტრენინგი). ცხადია, რისკების შეფასების გარკვეული ასპექტები ყველა კომპანიას არ დასჭირდება, თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ კომპანიამ შეძლოს სანქციებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება მის წინაშე მდგარი პოტენციური რისკების სრულყოფილად შესწავლის გარეშე.

რისკის შეფასება წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ავლენს, აანალიზებს და შეისწავლის სანქციების რისკს ამ რისკის შესუსტების მიზნით. რისკის შეფასებას უნდა ჰქონდეს ფართო დიაპაზონი და მოიცავდეს შემდეგი ერთეულების შეფასებას:

- კლიენტთან დაკავშირებული რისკი;
- პროდუქტსა და მომსახურებასთან დაკავშირებული რისკი;
- გეოგრაფიული (ორგანიზაცია და მისი კლიენტები) რისკი;
- ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკი;
- მიწოდება-ჩაბარებასთან დაკავშირებული რისკი;
- კომპანიების გაერთიანებისა და / ან ერთის მიერ მეორე კომპანიის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი რისკები;
- მომარაგების ჯაჭვთან დაკავშირებული რისკი;
- შუამავლებისგან მომავალი რისკი;
- ქსელებთან ან სისტემებთან დაკავშირებული რისკი.

ბევრ კომპანიას, კონკრეტულად კი ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს, უკვე ექნება ფულის გათეთრების (AML) ან ტერორიზმის დაფინანსების (CTF) რისკების იდენტიფიცირების მძლავრი სისტემები, რომელთაგან ბევრი შეიძლება ადაპტირდეს იმგვარად, რომ მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღსა და შესაბამის სანქციებთან დაკავშირებულ რისკებსაც მოერგოს. ზოგიერთ კომპანიას შეიძლება, ასევე, ჰქონდეს იარაღის გავრცელების დაფინანსებასთან ასოცირებული რისკის შეფასების მექანიზმი. იარაღის გავრცელების დაფინანსება ფინანსური დანაშაულის ქვეტიპია და გულისხმობს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების დარღვევას, რომლებიც მიმართულია მასობრივი განადგურების იარაღისა და მისთვის საჭირო მასალის შესყიდვის აღკვეთისკენ.

არსებული რისკების შეფასება შეიძლება და უნდა ადაპტირდეს იმგვარად, რომ სხვაგვარი იარაღის, მათ შორის, მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის შემზღუდავ სანქციებს მოერგოს, რაც შეიძლება მოხერხდეს შემდეგი ნაბიჯების საშუალებით:

- მაღალი რისკის შემცველ გეოგრაფიულ არეალში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთსა და ბელარუსში) მყოფ კლიენტებთან ფირმის პოტენციური ურთიერთობის ანალიზის ჩართვა რისკის შეფასებაში.
- კლიენტების, პარტნიორების ან სხვა კონტაქტების იდენტიფიცირება, რომლებიც პოტენციურად რისკიან სექტორებში (თავდაცვა, ტრანსპორტირება, დაფრახტული გადაზიდვა, ფინანსური მომსახურება და ელექტრონიკა) საქმიანობენ.
- რისკის შეფასების გაფართოება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომარაგების ჯაჭვსა და სხვა ტრანზაქციებში სანქცირებული საბოლოო მომხმარებლის ჩართულობის რისკი.

რუსეთთან დაკავშირებული სანქციებისა და ექსპორტ-კონტროლის რეჟიმებთან შესაბამისობის საუკეთესო პრაქტიკა

შესაბამისობის ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ უკანონო ტრანზაქციებს გამოავლენს, შეიძლება, საკმაოდ რთული აღმოჩნდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ამისთვის საჭიროა საქონლისა და ტრანზაქციების მრავალშრიანი ხილვადობა, რაც მოიცავს წარმოშობის, ტრანზიტის და დანიშნულების ქვეყნების მონაცემებს. ამისდა მიუხედავად, არსებობს საუკეთესო პრაქტიკის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, რომელთა დანერგვაც შეუძლია როგორც ფინანსურ ინსტიტუტებს, ისე სხვა კომპანიებს. ეს პრაქტიკა კომპანიას [საეჭვო] ტრანზაქციების გამოვლენისთვის ხელსაყრელ პირობებს უქმნის და საშუალებას აძლევს, დაარწმუნოს აღმასრულებელი ორგანოები საკუთარი განზრახვის კეთილსინდისიერებაში. დანართ ა-ში ჩამოთვლილია რამდენიმე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს უწყობს ამ ტიპის ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის განხორციელებას.

ქვემოთ ჩამოთვლილ პრაქტიკათაგან არცერთი არ უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად: ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზა და რისკის შეფასება, სისტემის ეფექტურობის უზრუნველ-საყოფად, უნდა იყოს შესაბამისობაში სკრინინგის ინსტრუმენტთან. საბოლოო ჯამში, ფირმის რისკის შეფასება უნდა ასახავდეს, როგორ გამოიყენება სკრინინგის მეთოდი, რა და როდის ექვემდებარება სკრინინგს.

ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზა (შეისწავლე შენი კლიენტი / მომწოდებელი): კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზა უტარდება პოტენციურ კლიენტებს, ბიზნესპარტნიორებსა და პროდუქტს / მომსახურებას საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის (როგორებიცაა ადრეული გაფრთხილების სიები, „წითელი დროშების" საკონტროლო სია და კითხვარები) გამოყენებით. სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის საბაზისო პირობაა ორგანიზაციის მფლობელებისა და კონტროლის სტრუქტურის შესახებ მკაფიო ცოდნა. მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტებთან დაკავშირებული რთული ქსელების გამოსავლენად შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის გაფართოება და უშუალო კლიენტების მონაცემებთან ერთად მათი მომხმარებლების მონაცემების შესწავლაც.[18] სანქციების აღმსრულებელი უწყებები უფრო და უფრო ხშირად სთხოვენ კომპანიებს, შეისწავლონ მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკები და შეიმუშაონ ამ რისკების შემარბილებელი პროცედურები. ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზა შეიძლება მოიაზრებდეს საშუალებების ფართო სპექტრს, დაწყებული კონკრეტული ორგანიზაციებისა და პირების შესახებ ინფორმაციის ბაზისური (ინტერნეტის საშუალებით) ძიებიდან და დამთავრებული იმის უზრუნველყოფით, რომ მოთხოვნილი საქონელი ნამდვილად შეესაბამება შესყიდვისას მითითებულ საბოლოო გამოყენებას.

საბაჟოს მოხელეებმა იარაღის გავრცელების დაფინანსების შემთხვევებისთვის შეიმუშავეს **კლიენტთან ურთიერთობისას ქცევითი „წითელი დროშების"** პრაქტიკული ჩამონათვალი, რომელიც, ასევე, გამოდგება მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული ტრანზაქციების რისკებისა და შესაბამისი კლიენტებისთვის. „წითელი დროშები" მოიცავს შემდეგს:

- თქვენს კომპანიას მიმართა კლიენტმა, რომლის ვინაობა ბუნდოვანია.
- კლიენტს აქვს მწირი ბიზნესგამოცდილება ან საერთოდ არ აქვს.
- კლიენტი ჩართულია სამხედრო სფეროსთან დაკავშირებულ ბიზნესში.
- კლიენტი ან მისი მისამართი ემთხვევა სანქცირებულ პირთა ჩამონათვალში მითითებულ ერთ-ერთ სუბიექტს.
- კლიენტი თავს იკავებს საქონლის საბოლოო გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისგან.
- კლიენტი ითხოვს საქონლის ტრანსპორტირებას ან მარკირებას იმ ფორმით, რომელიც არ შეესაბამება ტრანსპორტირებისა და მარკირების ჩვეულ პრაქტიკას.
- კლიენტი არ იცნობს პროდუქტის მახასიათებლებს, მაგრამ მაინც სურს პროდუქტი.
- კლიენტი უარს ამბობს მონტაჟის, ინსტრუქტაჟისა და ტექმომსახურების რუტინულ შეთავაზებაზე.
- შეკითხვების შემთხვევაში კლიენტი თავს არიდებს პასუხს ან ბუნდოვნად უპასუხებს შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ რისთვის არის პროდუქტი განკუთვნილი - შიდა გამოყენების, ექსპორტის თუ რეექსპორტისთვის.

18 Alexey Eremeko and Henry Smith, "Managing Rising Sanctions Risks Across the South Caucasus and Central Asia," Control Risks, https://www.controlrisks.com/our-thinking/insights/managing-rising-sanctions-risks-across-the-south-caucasus-and-central-asia

19 "Sanctioned Lists and Red Flags: United National Security Council (UNSC) Sanctions," Singapore Customs, https://www.customs.gov.sg/businesses/strategic-goods-control/sanctioned-lists-and-red-flags

სკრინინგი ჩამონათვალის მიხედვით: სანქციების სკრინინგი ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდია, რომლის საშუალებითაც ფინანსური მომსახურების კომპანიას შეუძლია აირიდოს სანქცირებულ ტრანზაქციაში უნებლიე მონაწილეობა. ჩამონათვალის მიხედვით სკრინინგი, რომელიც ხშირად ავტომატიზებულია, საეჭვო ტრანზაქციების გამოვლენის მეტად პრაქტიკული ინსტრუმენტია. თუმცა, ამ მიდგომასაც აქვს თავისი შეზღუდვები. ასეთი სიები, როგორც წესი, შედგენილია ექსპორტიორების და არა ფინანსური კომპანიებისთვის და, ამასთან, ხშირ განახლებასაც არ ექვემდებარება. შესაძლებელია, ჩამონათვალმა დაცულობის მცდარი განცდა შექმნას.

მიზნობრივი სკრინინგი: კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ზომა იმისათვის, რომ სკრინინგი უფრო ეფექტური გახდეს, მათ შორის, სპეციფიკურ ორგანიზაციებსა და მოქმედების არეალზე ფოკუსირება, მიმდინარე საფრთხეების აღრიცხვა და არსებული ქსელების შესწავლა.

შიდა პოლიტიკა: ფირმებს, ასევე, უნდა ჰქონდეთ რუსულ ბანკებსა და ბიზნესებთან ურთიერთობის მკაფიო შიდა პოლიტიკა და განსაზღვრონ, რა მასშტაბით არის ორგანიზაცია ჩართული რუსეთის იურისდიქციაში.

ტრენინგი: შესაბამისობის პროგრამების ნაწილი უნდა ჰქონდეს რუტინული ტრენინგის ფორმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ორგანიზაციის ყველა წევრს ესმის სანქციების დაწესებული შეზღუდვები და რისკების გამოვლენის გზები.[20]

არსებულ საუკეთესო პრაქტიკას შეუძლია და უნდა ადაპტირდეს კიდეც იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სხვა, მათ შორის, მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული სანქციები, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად:

- ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის პროცესში სანქციებსა და კონვენციურ იარაღთან / მის კომპონენტებთან დაკავშირებული შესაბამისი კითხვების ჩართვა – იქნება ეს კლიენტთან ხელშეკრულების გაფორმებისა თუ საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში.
- იმის უზრუნველყოფა, რომ მათი კლიენტების, განსაკუთრებით კი თავდაცვის და მსგავსი სისტემების წარმოება-ვაჭრობით დაკავებული კლიენტების ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის პროცედურები ამომწურავია და კლიენტს კარგად ესმის, ვისთან აქვს საქმიანი ურთიერთობა და რა არის პროდუქტის პოტენციური საბოლოო დანიშნულება.
- იარაღისა თუ კომპონენტების ქსელებისა და ამ ქსელებთან კონკრეტული კლიენტების კავშირების შესწავლა, რათა გამოვლინდეს კომპანიასთან სავარაუდო კავშირი.

მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებული ყურადღებიანი ტრანზაქციები

იმ ტრანზაქციებისა თუ საქონლის / მომსახურების იდენტიფიცირება, რომლებიც კომპანიას სანქციებისა და ექსპორტ-კონტროლის აღსრულებასთან დაკავშირებული რისკების წინაშე დააყენებს, საკმაოდ რთული შეიძლება იყოს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღისა და მისი კომპონენტების შესყიდვის ქსელების ფარული ხასიათის გამო.

20 Alexey Eremeko and Henry Smith, "Managing Rising Sanctions Risks Across the South Caucasus and Central Asia," Control Risks, https://www.-controlrisks.com/our-thinking/insights/managing-rising-sanctions-risks-across-the-south-caucasus-and-central-asia

BIS/FINCEN-ის[21] მიხედვით, **ფინანსური ინსტიტუტები** შეიძლება გადააწყდნენ **სპეციფიკურ ტრანზაქციებს**, რომლებიც მიანიშნებს და გააფრთხილებს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენტებთან დაკავშირებული პოტენციურად საეჭვო აქტივობების შესახებ:

- კლიენტის საბოლოო დანიშნულების სერტიფიკატები, ექსპორტის დოკუმენტები ან სხვა უფრო ამომწურავი დოკუმენტაცია, რომელიც უკავშირდება საბანკო აკრედიტივის საშუალებით დაფინანსებულ ვაჭრობას.
- გადარიცხვის ორდერში, რომელსაც კომპანია იღებს ან გასცემს, როგორც შუამავალი ინსტიტუტი, მითითებულია ინფორმაცია ტრანზაქციის მონაწილე სხვა მხარეების შესახებ.
- საბანკო აკრედიტივი, რომელსაც ექსპორტიორი იღებს თავისი კლიენტისგან (იმპორტიორისგან).
- კლიენტისთვის (ექსპორტიორისთვის) გადაცემული აკრედიტივი ტრანზაქციის განხორციელების მიზნით.
- იმპორტიორის მიერ ექსპორტისთვის გადახდილი თანხის ელექტრონული გადარიცხვა მიიღება ექსპორტიორის ფინანსური ინსტიტუტის მიერ ან მუშავდება კორესპონდენტი ბანკის ტრანზაქციის ფარგლებში.

მთავრობის მოხელეებს აქვთ შექმნილი **„საგანგაშო ინდიკატორები (წითელი დროშები“),** რომლებიც ეხმარება ექსპორტიორებს, გამოავლინონ ყურადსაღები (საეჭვო) ქცევა ან ტრანზაქცია. „წითელი დროშების“ სრული სია მოცემულია დანართ გ-ში. მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღსა და მის კომპონენტებთან დაკავშირებული ზოგიერთი სპეციფიკური „წითელი დროშა“ მოიცავს შემდეგს:

- ელექტრონული/ინდუსტრიული საქონლის საბითუმო მოვაჭრეებისგან, ელექტრონაწილებისა და ელექტროტექნიკის, ასევე, ელექტრონიკის მომწოდებლებისგან ძალიან მაღალფასიანი ან დიდი მოცულობით პროდუქტის შესყიდვა.
- კლიენტს შესყიდული (პრობლემური) საქონელი გადააქვს სხვა ქვეყანაში და იყენებს სავაჭრო დერეფნებს, რომლებიც ცნობილია, როგორც რუსეთსა და ბელარუსში ექსპორტისთვის გამოყენებული ტრანზიტული პუნქტები.
- კლიენტის მიერ წარმოებული ბიზნესის / მომსახურების / პროდუქტის ხასიათი უკავშირდება სამხედრო ან სამთავრობო საქმიანობას.
- ელექტრონიკის იმპორტსა და ექსპორტზე მომუშავე აშშ-ში მოქმედ კომპანიებს შეუძლიათ მიმდინარე ბიზნეს და უცხოური ვალუტის ანგარიშების გამოყენება იმ შემთხვევებისთვის, როცა ტრანზაქციები ხორციელდება მესამე ქვეყანაში მოქმედ ელექტრო და საჰაერო-კოსმოსური ტექნიკის ისეთ კომპანიებთან, რომლებსაც რუსეთსა თუ ბელარუსში აქვთ ფილიალები.

21 "FinCEN and the U.S. Department of Commerce's Bureau of Industry and Security Urge Increased Vigilance for Potential Russian and Belarusian Export Control Evasion Attempts," FinCEN & BIS Join Alert, June 28, 2022, https://www.fincen.gov/sites/default/files/2022-06/FinCEN%20and%20Bis%20Joint%20Alert%20FINAL.pdf

- [რუსულ ფირმებზე] ელექტრონიკისა და სხვა მსგავსი პროდუქტის გადამყიდველ რუსულ ფირმებთან დაკავშირებული კორესპონდენტი ბანკის საშუალებით განხორციელებული აქტივობების საფუძველზე გამოვლენილი ტრანზაქციები.
- ტრანზაქცია, რომელიც შეიცავს მესამე მხარის ქვეყანაში მდებარე კომპანიის მიერ განხორციელებულ გადახდებს ისე, რომ ეს ქვეყანა სხვა მხრივ საერთოდ არ არის დაკავშირებული მოცემულ ტრანზაქციასთან და, ზოგადად, ითვლება რუსეთსა და ბელარუსში ექსპორტის ტრანზიტულ პუნქტად.[22]
- მიწოდება-ჩაბარების თარიღები ბუნდოვანია ან მიწოდება იგეგმება საწყისი მარშრუტისგან განსხვავებულ დანიშნულების პუნქტებში.
- პროდუქტის მონაცემები არ შეესაბამება შემსყიდველის საქმიანობის ხაზს (მაგალითად, მძლავრი კომპიუტერები პატარა საცხობისთვის).
- შეკვეთილი პროდუქტი არ შეესაბამება იმ ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონეს, რომელშიც ტვირთი მიემართება (მაგალითად, ნახევარგამტარების საწარმო აღჭურვილობა მიდის იმ ქვეყანაში, რომელსაც საერთოდ არ აქვს ელექტრონიკის ინდუსტრია).
- ტრანსპორტირების მარშრუტი უჩვეულოა პროდუქტის ხასიათისა და დანიშნულების პუნქტის გათვალისწინებით.
- ფრახტის კომპანია არის მითითებული პროდუქტის საბოლოო დანიშნულების ადგილად.
- შეფუთვა არ შეესაბამება ტრანსპორტირების გაცხადებულ მეთოდსა და დანიშნულების პუნქტს.[23]

უკანონო ტრანზაქცია, ასევე, შეიძლება განხორციელდეს **კონტროლირებული ობიექტის განზრახ მცდარად,** EAR99-ის კლასის პროდუქტად **იდენტიფიცირების** საშუალებით, რაც მოიცავს სამომხმარებლო საქონელს, რომელიც არ საჭიროებს ექსპორტის / ტრანსპორტირების ნებართვას. ნივთი შეიძლება მიუვიდეს სანქცირებულ საბოლოო მომხმარებელს, თუკი მასთან ფარულად შეკრული ტრანსპორტიორები ან ბროკერები მიზანმიმართულად გააბუნდოვნებენ საქონლის მახასიათებლებს / ბუნებას და დანიშნულების პუნქტს.

საკვანძო მიგნებები

- კერძო სექტორის – განსაკუთრებით კი ფინანსური მომსახურების, ელექტრონიკის, ტრანსპორტირებისა და თავდაცვის სფეროებში მომუშავე - კომპანიებს უნდა ჰქონდეთ **სანქციებთან შესაბამისობის მძლავრი პროგრამები, რომლებიც დაგეგმილია იმგვარად, რომ შეძლოს მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის კომპონენ-ტებთან დაკავშირებული ტრანზაქციების გამოვლენა.**

22 "FinCEN and the U.S. Department of Commerce's Bureau of Industry and Security Urge Increased Vigilance for Potential Russian and Belarusian Export Control Evasion Attempts," FinCEN & BIS Join Alert, June 28, 2022, https://www.fincen.gov/sites/default/files/2022-06/FinCEN%20and%20Bis%20Joint%20Alert%20FINAL.pdf

23 "Sanctioned Lists and Red Flags: United National Security Council (UNSC) Sanctions," Singapore Customs, https://www.customs.gov.sg/businesses/strategic-goods-control/sanctioned-lists-and-red-flags

- ნაკლებსავარაუდოა, რომ კომპანია სანქციებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შეასრულებს, თუ არ ექნება სრულად გააზრებული მის წინაშე მდგარი პოტენციური რისკები, რომლებიც მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი **რისკების შეფასების** დოკუმენტში.

- არსებობს **სპეციფიკური ტრანზაქციები და საგანგაშო ინდიკატორები („წითელი დროშები“),** რომლებსაც უნდა იცნობდნენ ფინანსური ინსტიტუტები და რომლებიც უნდა ჰქონდეთ ჩართული სანქციებთან შესაბამისობის პროგრამებში.

- არსებობს **სანქციებთან შესაბამისობის პროგრამების საუკეთესო პრაქტიკის** რამდენიმე მაგალითი – მათ შორის, ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზა, სკრინინგი, შიდა პოლიტიკა და პროცედურები, ტრენინგი - რომლებიც კომპანიებმა უნდა მოარგონ მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებსა და ექსპორტ-კონტროლის რეგულაციებს.

- OFAC List of Specially Designated Nationals and Blocked Persons (SDN List) **(საზღვარგარეთული აქტივების კონტროლის ოფისის „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებისა და სანქცირებული პირების სია“):** საზღვარგარეთული აქტივების კონტროლის ოფისმა გამოაქვეყნა იმ ინდივიდებისა და კომპანიების ჩამონათვალი, რომლებსაც ფლობს ან აკონტროლებს სამიზნე ქვეყანა ან რომელიც ამ სამიზნე ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებს.

- Bureau of Industry and Security (BIS) at U.S. Department of Commerce Entity List **(ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს კერძო და იურიდიული პირების სია):** ექსპორტის ადმინისტრაციის რეგულაციები (EAR) მოიცავს გარკვეული პირების, მათ შორის, კომპანიების, კვლევითი ინსტიტუტების, სამთავრობო და კერძო ორგანიზაციების, ინდივიდებისა და სხვა ტიპის იურიდიული პირების ჩამონათვალს, რომლებსაც კონკრეტული ობიექტების ექსპორტის, რეექსპორტისაა და / ან გადაზიდვისთვის (ქვეყნის შიგნით) სჭირდებათ ლიცენზია (ნებართვა).

- U.S. Department of State, CAATSA Section 231(e) List **(აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის „ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის“ აქტის 231 (e) მუხლში მითითებული ჩამონათვალი):** სახელმწიფო დეპარტამენტს აქვს იმ პირების ჩამონათვალი, რომლებიც, 231-ე მუხლის მიზნებისთვის, წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავდაცვით ან დაზვერვის სექტორებს ან მოქმედებენ მათ სასარგებლოდ.

- Office of Financial Sanctions Implementation (OFSI) of HM Treasury in the United Kingdom **(გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების აღსრულების ოფისი და მისი უდიდებულესობის ხაზინა):** გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გამოაქვეყნა სანქციების სია, რომელშიც მოცემულია სანქციების აქტით სანქცირებული ფიზიკური და იურიდიული პრების მონაცემები.

- European Union **(ევროკავშირი):** ევროკავშირს აქვს სანქცირებულ პირთა და კომპანიათა ჩამონათვალი, რომელიც მუდმივად ექვემდებარება ევროსაბჭოს მიერ გადახედვა-განახლებას.

- Australian Department of Foreign Affairs and Trade **(ავსტრალიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტი):** ავსტრალიის მთავრობას აქვს სანქცირებულ პირთა და კომპანიათა კონსოლიდირებული ჩამონათვალი.

- Japan's Ministry of Economy, Trade, and Industry (METI) **(იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო):** იაპონიის მთავრობამ გამოსცა საბოლოო მომხმარებლების ჩამონათვალი, რომელიც ექსპორტიორებს აწვდის იმ კერძო / იურდიული პირების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღთან ან სხვა სახის მსგავს პროდუქტთან დაკავშირებულ საქმიანობაში იყვნენ გარეულნი.

- Russian tax registry, Clearspending NGO, e-justice system (რუსეთის საგადასახადო რეესტრი, არასამთავრონო ორგანიზაცია Clearspending, ელექტრონული სამართლის სისტემა): ამ საიტებზე მოცემულია ინფორმაცია რუსეთში რეგისტრირებული ბიზნესების, მათი სტრუქტურების და ამ ბიზნესებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების შესახებ.

დანართი ბ: ქცევასთან და ტრანზაქციებთან დაკავშირებული დამატებითი „წითელი დროშები“: [24]

- კლიენტის მიერ ხდება შესყიდული საქონლის ტრანსპორტირება იმგვარი სავაჭრო დერეფნების გამოყენებით, რომლებიც ცნობილია, როგორც რუსეთსა და ბელარუსში ექსპორტისთვის გამოყენებული სავარაუდო ტრანზიტული პუნქტები.

- კლიენტის ძირითადი საქმიანობის ხასიათი (უფრო კონკრეტულად, სამხედრო ან სამთავრობო საქმიანობა), მის მიერ შეთავაზებული მომსახურების ან პროდუქტ(ებ)ის ტიპი და გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის რუსეთისა და ბელარუსის სასარგებლოდ ექსპორტ-კონტროლის გვერდის ავლაში [თქვენი ორგანიზაციის] უნებლიე ჩართულობის დამატებით რისკებს.

- ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს ისეთ ფიზიკურ/იურიდიულ პირებს, რომლებიც ინტერნეტით არ იძებნება.

- ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტირების ან გადახდის დანიშნულების ადგილის ცვლილებას - ტვირთი ან თანხა, რომელიც უნდა გაგზავნილიყო რუსეთის ან ბელარუსის მიმართულებით ან ამ ორ ქვეყანაში მდებარე კომპანიაში, იცვლის მიმართულებას და სხვა ქვეყნის/კომპანიისკენ მიემართება.

- ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს შუალედურ (მესამე მხარე) ქვეყნებში მყოფი / მდებარე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ განხორციელებულ გადახდებს, როცა ეს მესამე ქვეყანა სხვაგვარად საერთოდ არ უკავშირდება კონკრეტულ ტრანზაქციას და ცნობილია, როგორც რუსეთსა და ბელარუსში ექსპორტისთვის გამოყენებული პოტენციური ტრანზიტული პუნქტი.

- რუსეთში ან ბელარუსში მდებარე / მყოფ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან (როგორც ოპერაციის შემსრულებელი, ისე ბენეფიციარი) დაკავშირებულ ტრანზაქციებში განხორციელებული ნაჩქარევი (ბოლო მომენტებში შეტანილი) ცვლილებები.

- ტრანზაქციის მხარეები, რომელთა მისამართები არ შეესაბამება ხსენებულ ბიზნესს და ან სხვაგვარად პრობლემური ჩანს (მაგ., შეიძლება ფიზიკურად არ არსებობდეს მისამართი ან მისamართი იყოს საცხოვრებელი).

- ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს ფრახტული გადაზიდვის კომპანიებს და ეს კომპანიებია მითითებული პროდუქტის საბოლოო მომხმარებლად, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი რუსეთის ტრადიციულ ტრანზიტულ ცენტრებში მიემართება.

- პროდუქტისა და დანიშნულების ადგილისთვის შეუსაბამო გადაზიდვის მარშრუტის მომცველი ტრანზაქციები.

24 “FinCEN and the U.S. Department of Commerce’s Bureau of Industry and Security Urge Increased Vigilance for Potential Russian and Belarusian Export Control Evasion Attempts,” FinCEN & BIS Join Alert, June 28, 2022, https://www.fincen.gov/sites/default/files/2022-06/FinCEN%20and%20Bis%20Joint%20Alert%20FINAL.pdf

- ტრანზაქციები, რომლებიც მოიცავს ისეთ ფიზიკურ / იურიდიულ პირებს, რომელთა საიტზე ან ბიზნესის რეგისტრაციის ფორმებში საქმიანობად მითითებულია „სპეციალური დანიშნულების პროექტებზე“ მუშაობა.

- ისეთ კომპანიასთან დაკავშირებული ტრანზაქციები, რომლის მისამართიც ემთხვევა (ან საზიაროა) BIS-ის ჩამონათვალში ან სახაზინო დეპარტამენტის „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებისა და სანქცირებული პირების სიაში“ მითითებული ფიზიკური / იურიდიული პირის მისამართს.

- იმ ინდივიდების ახალი ან არსებული ანგარიშები და ტრანზაქციები, რომლებიც წარსულში დამნაშავედ სცნეს აშშ-ის ექსპორტის კონტროლის კანონების დარღვევაში. ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ ხსენებული სუბიექტის ამჟამინ-დელი საქმიანობა ექსპორტ-იმპორტის მომსახურებას უკავშირდება.

- სხვა უარყოფით მონაცემებთან ერთად, EAR99-ის კოდით აღნიშნული საქონლის შესასყიდად განხორციელებული მსხვილი (მოცულობითი ან მაღალი ღირებულების მქონე) შესყიდვები, მათ შორის, საკრედიტო ბიზნესბარათების გამოყენებით (ან ელექტრონული ან სამრეწველო საქონლის საბითუმო მოვაჭრეებისგან, ელექტრონა-წილებისა და ტექნიკის, ასევე, ელექტრონიკის ნაწილების მომწოდებლებისგან მსხვილი პარტიის (დიდი მოცულობით ან ძალიან მაღალი ღირებულების) შესყიდვა) აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ. ეს შემთხვევა განსაკუთრებით საფრთხილოა, როცა უკავშირდება პარალელურ შესყიდვებს ტრანსპორტირების კომპანიებში.

- კომპანიები ან ინდივიდები, რომლებსაც აქვთ კავშირი რუსეთის სახელმწიფო კორპორაციებთან (აქ მოიაზრება წილების საერთო მფლობელობა; ასევე, ხსენებული სუბიექტი შეიძლება იყოს რუსული სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კორპორაციის ფილიალი, შვილობილი ან მეწილე) და ჩართულნი არიან ექსპორტთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში ან უზრუნველყოფენ საექსპორტო მომსახურებას.

- კორესპონდენტი ბანკის აქტივობების საშუალებით გამოვლენილი საექსპორტო ტრანზაქცია, რომელიც მოიცავს ისეთ ფიზიკურ/იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან აშშ-ის მოქალაქეები/აშშ-ში რეგისტრირებულნი, აქვთ იგივე მისამართი ან ჰყავთ იგივე მფლობელი, რაც რუსულ სახელმწიფო სანქცირებულ სუბიექტებსა და კომპანიებს.

- აშშ-ში რეგისტრირებული ელექტრონიკის ექსპორტიორებისა და იმპორტიორების მიერ უცხოურ ვალუტაში გახსნილი ან ბიზნესანგარიშების გამოყენება მესამე ქვეყანაში მდებარე ელექტრონიკის ან საჰაერო-კოსმოსურ სფეროში მომუშავე ისეთ ფირმებთან განხორციელებული ტრანზაქციების შემთხვევაში, რომლებიც რუსეთსა და ბელარუსთან არიან დაკავშირებული.

- კორესპონდენტი ბანკის აქტივობების საშუალებით გამოვლენილი ტრანზაქცია, რომელიც უკავშირდება რუსულ ნავთობზე მომუშავე ან რუსეთისთვის ელექტრონიკის და სხვა მსგავსი კომპონენტების გადამყიდველ ფირმებს.

ANNEX C: დანართი გ: მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის შეფასების ნიმუში[25]

I. მენეჯმენტის ზედა რგოლის შემოწმება

- [ ] აქვს თუ არა თქვენს კომპანიას სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის (SCP) სახელმძღვანელო? გადახედა და თუ არა მენეჯმენტის ზედა რგოლმა SCP-ს სახელმძღვანელოს და შემდეგ დაამტკიცა იგი?
- [ ] ჰყავს თუ არა თქვენს კომპანიას სანქციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე მომუშავე მოხელე და სკრინინგის შესაბამისი ტექნოლოგია?
- [ ] დანერგილია თუ არა თქვენს კომპანიაში „შესაბამისობის კულტურა“?

II. რისკის შეფასება

- [ ] შეიმუშავა თუ არა თქვენმა კომპანიამ რუსეთთან დაკავშირებული სანქციების შესაბამისი რისკის შეფასება?
- [ ] იცნობს თუ არა თქვენი კომპანია კლიენტებსა და მესამე მხარეებს?
  - [ ] შემოწმებულია თუ არა ინდივიდები და კომპანიები სანქცირებულ პირთა სიაში?
  - [ ] რამდენად ფლობთ / მოითხოვთ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვინ დგას (ვინ აკონტროლებს) კონკრეტული კლიენტების, მომწოდებლებისა თუ სხვა მესამე მხარეების უკან?
- [ ] ნათლად ესმის თუ არა თქვენს კომპანიას იმ პროდუქტისა და მომსახურების ხასიათი, რომელსაც სთავაზობს?
  - [ ] აქვს თუ არა თქვენს პროდუქტს / მომსახურებას ორმაგი დანიშნულება ან შეიძლება თუ არა მისი გამოყენება სამხედრო ინდუსტრიაში?
  - [ ] საჭიროებს თუ არა აღნიშნული მომსახურება / პროდუქტი სპეციფიკურ ლიცენზიას?
  - [ ] დაწესებულია თუ არა ემბარგო აღნიშნულ პროდუქტზე / მომსახურებაზე?
- [ ] იცის თუ არა თქვენმა კომპანიამ ადრესატი (მიმღები) ქვეყნის შესახებ?
  - [ ] არის თუ არა ადრესატი ქვეყანა რუსეთი?
  - [ ] თუ რუსეთი არ არის, არის თუ არა ეს ქვეყანა რუსეთის ცნობილი ხელშემწყობი?

25 Sources for Checklist include: LexisNexis Sanctions Risk Checklist, https://www.lexisnexis.com/community/cfs-file/__key/telligent-evolution-components-attachments/01-74-00-00-00-04-56-36/US_2D00_EDDM_2D00_Sanctions-Risk-Checklist-_2800_1_2900_.pdf; A Framework for OFAC Compliance Commitments, https://home.treasury.gov/system/files/126/framework_ofac_cc.pdf

- [ ] იცის თუ არა თქვენმა კომპანიამ პროდუქტის საბოლოო მომხმარებლისა და საბოლოო დანიშნულების შესახებ?
  - [ ] გადაამოწმეთ თუ არა პროდუქტის / მომსახურების საბოლოო დანიშნულება (გამოყენების ფორმა)?
  - [ ] არსებობს სანქციები, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს ამ საბოლოო გამოყენებაზე?
  - [ ] გაქვთ თუ არა გაყიდვების ხელშეკრულებაში ჩართული პროდუქტის / მომსახურების საბოლოო გამოყენებასთან / საბოლოო მომხმარებელთან და სანქციებთან დაკავშირებული პირობა?
  - [ ] შეგძლიათ, გადაამოწმოთ, რომ საბოლოო მომხმარებელი და მისი საბოლოო ბენეფიციარი არ ექვემდებარებიან სანქციებს?
- [ ] ესმის თუ არა თქვენს კომპანიას ტრანზაქციის დეტალები?
  - [ ] არის თუ არა ტრანზაქცია დასაშვები სანქციებისა და ექსპორტ-კონტროლის რეჟიმების გათვალისწინებით?
  - [ ] ექვემდებარება თუ არა სანქციებს ის ადგილი (მისამართი, ტერიტორია), სადაც პროდუქტი უნდა იყოს მიტანილი?
  - [ ] იქნებიან თუ არა ჩართულები ტრანზაქციაში მესამე მხარეები - მაგალითად, ტქვენი კომპანიის სასარგებლოდ მოქმედი პირები ან თქვენი პროდუქტის გადამზიდველები?

III. შიდა კონტროლი

- [ ] აქვს თუ არა თქვენს კომპანიას პოლიტიკისა (წესების) და პროცედურების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სანქციებთან შესაბამისობის პროგრამა?
- [ ] მკაფიო და გასაგები ფორმით აუხსნა თუ არა თქვენმა კომპანიამ პერსონალს სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის წესები და პროცედურები?

IV. შემოწმება და აუდიტი

- [ ] დანერგილია თუ არა თქვენს კომპანიაში სანქციებთან შესაბამისობის პროგრამის პოლიტიკისა (წესების) და პროცედურების შემოწმებისა და აუდიტის მექანიზმი?

V. ტრენინგი

- [ ] უზრუნველყოფს თუ არა თქვენი კომპანია სანქციებთან შესაბამისობის თაობაზე ტრენინგს თანამშრომლებისა და აქციონერებისთვის?